№

საქართველოს სსრ-ის ეროვნული ბიბლიოთეკა
ტ ფ ი ლ ი ს
სახელმწ. ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებულ

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1923 წლის სექტემბრის 12.

№ 6.
განყოფილება პირველი

გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ.

შინაარსი:

მუხ. 53. მშრომელ ქალთაგან დამნაშავეთა პირობით-ადამდე განთავისუფლების შესახებ.
„ 54. პასუხსაგები შრომის არტელის შესახებ.
„ 55. ევროპიელი ვაჭრობისათვის ახალი საბაჟო ტარიფის დაწესებინის შესახებ.
„ 56. წითელ ჯარში და ფლოტში გაწვეულ დახლეულთა ოჯახებისათვის დამატებითი დახმარების მიცემის შესახებ; ბავშვის გამოსაკვებად დამატებითი დახმარების მიცემის შესახებ; მეშა-ბოსამსახურეთათვის მიცემული საწარულინებო გასაპრჯელოს თანხებიდან სადასახლეო გამოსაღების დაუკერლობის შესახებ.
„ 57. ენინშანწყლო ქალაქზე დაბეკდილი წვრილი კუპიურების სავალდებულო მიღების შესახებ.
„ 58. შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის შესახებ.
„ 59. შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ამიერკავკასიისა, რესპუბლიკებისა და ადგილობრივ კომიტეტებთან არსებული დაშავებულ მეომართა და მათი ოჯახების დამმარე სექციების შესახებ.
„ 60. საყოველთაო საქალაქო აღწერის შესახებ.
„ 61. იმ პირთა შესახებ, რომელნიც თავიანთ თავს ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებული არა საბჭოთა სახელმწიფოების მოქალაქეთა რიცხვს მიაკუთვნებენ.
„ 62. უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეების უფლებათა მოწესრიგების შესახებ.
„ 63. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოებისა და აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკის წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოების სასარგებლოდ რკინისგზის სამგზავრო ბილეთებზე დაწესებული გამოსაღების შესახებ
„ 64 საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოებისა და აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკის წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოების სასარგებლოდ საკონსულო აქტებზე დაწესებული გამოსაღების შესახებ.
„ 65. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში საკონლის შემოტანისა და გატანის შესახებ.
„ 66. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის საერთო-სახელმწიფოებრივ, სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხვის შესახებ.

ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

„ 67. დროებითი დებულება ბაკის ბახრობის შესახებ.
„ 68. ბაკის ბახრობახე ვაჭრობის სახელმწიფო საშრეწველო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.
„ 69. წითელარმიელთათვის წერილების შეღავათით მიცემის შესახებ.
„ 70. საბაჟო დაწესებულებათა მიერ დასაწყობი და საბაჟო გამოსაღების გადახდევინებისა და საბაჟოში საქონლის შენახვის ვადის შესახებ.
„ 71. საავალუტო—ფულადი ტრანზილის მოწმესრიგების შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

53. მშრომელ ქალთაგან დამნაშავეთა პირობით ვადამდე განთავისუფლების შესახებ.

ქალთა ინტერნაციონალური დღესასწაულის—„მუშა-ქალთა დღის—მარტის 8-ს—აღსანიშნავად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს**:

1. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკებში—გამნაწილებელ კომისიათა შესახებ—მომქმედი დებულებისაგან გადასაცდენად—უფლება მიეცეს ხსენებულ კომისიათ აღძრან ხელმეორე შუამდგომლობა პირობით ვადამდე განთავისუფლების შესახებ, ხოლო სათანადო სასამართლო დაწესებულებამ, საგანგებო კომისიამ და საადმინისტრაციო ხელისუფლებამ დაამაყოფილონ ესე შუამდგომლობა იმ შემთხვევაშიაც, როცა ჯერ კიდევ სასჯელის ნახევარი ვადაც არ გასულა.

2. მიეცეს განნაწილებელ კომისიებს უფლება აღძრან ხელმეორე შუამდგომლობა პირობით ვადამდე განთავისუფლების შესახებ იმ დგენილ სასამართლო დაწესებულების წინაშე, სადაც მსჯავრდადებული სასჯელს იხდის; სასამართლო დაწესებულებამ, საგანგებო კომისიამ და საადმინისტრაციო ხელისუფლებამ უნდა გადასწყვიტონ ეს შუამდგომლობა ორ კვირაზე არა უგვიანეს დღიდან შუამდგომლობის მიღებისა.

3. ამა თუ იმ სასჯელის მომხდელ ქალთა საქმეების დაწვრილებით გაცნობის შემდეგ წინა ორ თუხლში ჩამოთვლილი შეღავათები შეფარდებულ უნდა იქნეს მშრომელ ქალთაგან იმ დანაშავისათვის, რომელიც ამა დადგენილების გამოქვეყნების დღისთვის უკვე იხდის სასამართლოს თუ ადმინისტრატიული წესით დაკისრებულ სასჯელს და რომლის პირობით ვადამდე განთავისუფლება არ წარმოადგენს საფრთხეს სახელმწიფოებრივი წყობილებისა და წესიერებისათვის.

4. მოვალეობად ჩაეთვალოს განნაწილებელ კომისიებს, რათა მე-3 მუხ. აღნიშნულ პირთა სიები წარუდგინონ 1-ს და მე-2 მუხ. ჩამოთვლილ სათანადო დაწესებულებათ ერთი თვის განმავლობაში დღეგანდელი რიცხვიდან.

5. დაეკისროს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკების სათანადო სახალხო კომისარიატებს, რომლებიც განაგებენ სამეურნეოებს,—შეიმუშაონ დაწვრილებითი ინსტრუქცია ამა დადგენილების აღსრულებისათვის და თვალყური ადევნონ მის უკლებლივ განხორციელებას.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. მარტის 31-ს თარიღის 72 №-ში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 41. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1923 წ. მარტის 29.

54. პასუხსაგები შრომის არტელის შესახებ.

რადგანაც პასუხსაგები შრომის არტელები, რომლებიც წარმოადგენენ კომერციულ წვრილ-სააქციო ორგანიზაციებს, ცდილობენ შეაკსონ თავიანთი წევრებით მთელი რიგი თანამდებობათა, რაც ნივთიერ პასუხისმგებლობას არა საჭიროებს და რაც იწვევს შრომის ბაზრის მოწესრიგების საქმის დაშლასა და ასუსტებს გეგმის შესაფერისად ბრძოლას უმუშევრობასთან, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. შრომის სახალხო კომისარიატი **ადგენს:**

1., მიეცეს პასუხსაგები შრომის ინსპექტორებს (არტელებს), რომელთაც რეგისტრაცია აქვთ გაკეთებული სათანადო სახელმწიფო ორგანოებში,—უფლება—გაჰგზავნონ ხოლმე უშუალოდ სამუშაოზე მხოლოდ ის პირი, ვინც ოფთალარულებს ისეთ თანამდებობას ან ცალკე სამუშაოს და მინდობილობას, რაც დაკავშირებულია საქონლის, ფულისა და სხვა საფასურის მიღებასა, შენახვასა, გაცემასა, გაგზავნ-გამოგზავნასა და დაცვასთან, როგორიც არის მაგალითად: მოლარე, ინკასატორი-მეარტელე, მეანაბარე, ფულის საქმის მინდობილობის აგენტი, საქონლისა და შარაგზით ტვირთზიდვის აგენტი, მაღაზიისა და საწყობის გამგე, მაღაზიისა და საწყობის ღამის დარაჯი—ასასი.

2. პასუხსაგები შრომის არტელის წევრის სამუშაოდ მიღება ისეთ თანამდებობაზე, რაც ამა დადგენილების 1-ლ მუხ. არ არის გათვალისწინებული, როგორიცაა მაგალითად: ბუხჰალტერი, მოანგარიშე, მანქანით გადამწერი და სხვ.,—უნდა სწარმოებდეს ჩვეულებრივის წესით—შრომის ბირჟის მეშვეობით.

3. პასუხსაგები შრომის არტელის წევრის სამუშაოდ მიღება შრომის ბირჟის გარეშე, შემდგომი რეგისტრაციით, მონდება თანახმად ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1923 წ. მარტის 13-ს თარიღითა და 39 №-რით გამოცემული დადგენილებისა.

4. პასუხსაგები შრომის არტელის წევრი, სამუშაოდ მიღებული შრომის ბირჟის გერეშე, ისეთ თანამდებობაზე, რომელიც ამა დადგენილების 1-ლ მუხ. არ არის აღნიშნული,—დაუყონებლივ უნდა იქნეს მოხსნილი მუშაობისაგან და შეიცვალოს შრომის ბირჟაში რეგისტრაცია გატარებული უმუშევარით.

5. ამიერკავკასიის შრომის კომისარიატის რწმუნებულმა და მათ ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა იქონინონ მტკიცე კონტროლი პასუხისმგებელი შრომის არტელის მიმართ და, უკეთუ ეს არტელები დაარღვევენ თავიანთი წევრების სამუშაოდ გაგზავნის წესს, უნდა იხმარონ შესაფერი ღონისძიება დამნაშავეთა სისხლის სამართალში მისაცემად შრომის კანონების დარღვევისათვის,—თვით არტელის დახურვამდე-კ.

ამიერკავკასის შრომის სახალხო
კომისარის მოადგილე **ბახუტოვი.**

შრომის ბაზრის განყოფილების გამგე **ლ. ბაბალოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-“-ს 1923 წ. მარტის 31 თარიღის 72 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 31. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. აპრილის 2.

55. ევროპიული ვაპრობისათვის ახალი საბაჟო ტარიფის დაწესების შესახებ

ამჟამად არსებული საგასატანო ვაპრობის ტარიფის შესაცვლელად სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს**: შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ, დღიდან ამა დადგენილების ადგილობრივ მიღებისა, საგასატანო ვაპრობისათვის შემდეგი საბაჟო ტარიფი:

ა., გასატანი საქონლის ნუსხა

ტარიფ. მუხ.	საქონლის სახელწოდება.	ბაჟი მან.	ბაჟი კაპ.
1	**ცერეცი** და **ზირა**—ფუთი ბრუტტო	—	20
2	**ხორცი** და **ხორცეული** პროდუქტები, სხვათა შორის ქონი, ფუთი ბრუტტო	1	
3	**ხიზილალა**: ა. შავი, ზუთხის ჯიშის თევზისა,—ფუთი ბრუტტო	10	—
	ბ. ჭიჭყინა თევზის ჯიშისა ფუთი ბრუტტო .	—	50
4	ცოცხალი ცხოველი:		
	პ. 1. სხვილფეხა რქოსანი საქონელი—თითო სულზე .	60	—
	პ. 2. ცხვარი, ცალკე არ აღნიშნული, თითო სულზე .	15	—
	პ. 3. ცხვარი-მერინოსი, გრუზა ტყავიანი,—თითო სულზე	100	—
	პ. 4. აქლემი, თითო სულზე	60	—
	პ. 5. ღორი, სულზე	35	—
	პ. 6. ყოველგვარი ცხოველი, ფრინველის გარდა, ცალკე არ აღნიშნული, თითო სულზე	20	—
5	**სასუქი ნივთიერება, რომელიც შეიცავს ფოსფორს:**		
	პ. 1. ძვალი—ყოველგვარი—არა ნაკეთობიანი, ნაპრეტად, დაფშვნილი (ძვლის მარცვლეული), დანაყილი, ან სხვანაირად დანაწილებული, ძვლის ფქვილის გარდა,—დამწვარი ძვალი, ნაპრეტად და ფხვნილად, ძვლის ნაცარი—ფუთი ბრუტტო . .	—	25

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარიფ. მუხ.	საქონლის სახელწოდება.	ბაჟი მან.	ბაჟი კაპ.
	3. 2. ძვლის ფქვილი, ძვლის ნახშირი, ძვლის ხაკა,—ფუთი ბრუტტო	—	3
6	**პირუტყვის ნაწლევი და კუჭი**:		
	3. 1. სველად დამარილებული, ფუთზე	—	40
	3. 2. მშრალი, ფუთზე	2	—
7	**თევზის წებო**—ფუთზე	6	—
8	**ცხენის ძუა**—ფუთი ბრუტტო	2	—
9	**ჯაგარი არა ნაკეთები**—ფუთზე	7	—
10	**ბუმბული და ფრთა**—ფუთი ბრუტტო	—	25
11	**ტყავი** გამოუქნელი:		
	3. 1. სველად დამარილებული:		
	ა., თითო ცალი წონით 25 გირვ. და მეტიც, აგრეთვე ცხენის ტყავის აპრილი ხაზედაო, წონის მიუხედავად,—ფუთზე	5	—
	ბ., თითო ცალი წონით 25 გირვ. ნაკლები,—აპრილი სამოგვის გარდა, წონით 5 გირვ. და მეტიც, ფუთზე	1	—
	შენიშვნა. ცხენის მთლიანი ტყავი, აგრეთვე ცხენის ტყავის საპირე დაიბაჟება საერთო საფუძველზე ლიტ. **ა** და **ბ** მიხედვით.		
	გ., სამოგვე აპრილი, წონით თითო ცალი 5 გირვანქიდან და მეტიც,—ფუთზე	4	—
	3. 2. მშრალად დამარილებული:		
	ა., თითო ცალი წონით 12 გირვ. და მეტიც, აგრეთვე ცხენის ტყავის აპრილი ხაზედაო, წონის მიუხედავად, ფუთზე	10	—
	ბ., თითო ცალი წონით 12 გირვ. ნაკლები, აპრილი სამოგვის გარდა, წონით თითო ცალი $2^1/_2$ გირვანქიდან და მეტიც,—ფუთზე	2	—
	გ., აპრილი სამოგვე-თითო ცალი წონით $2^1/_2$ გირვანქა და მეტიც,—ფუთზე	8	—
	3. 3. უმარილო-მშრალი:		
	ა., თითო ცალი წონით 11 გირვ. და მეტიც, აგრეთვე ცხენის ტყავის აპრილი ხაზედაო, წონის მიუხედავად, ფუთზე	12	50

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარიფ. მუხ.	საქონლის სახელწოდება.	ბაჟი	
		მან.	კაპ.
	ბ., თითო ცალი წონით 11 გირვ. ნაკლები, აპრილი სამოგვის გარდა, თითო ცალი წონით 2 გირვანქიდან და მეტიც,—ფუთზე	2	50
	გ., აპრილი სამოგვე, თითო ცალი წონით 2 გირვ. და მეტიც—ფუთზე	10	—
12	**რბილი მჩატეულობა:**		
	ა. 1. ბეწვეული ნედლი, გამოუქნელი:		
	ა., ტყავი: სისამურისა, ვერცხლოვან-მოშავ-მოწითანო მელისა და ზღვის წავისა,—ფუთზე . . .	1000	—
	ბ., ცისფერა მელის ტყავი—ფუთზე	600	—
	გ., ტყავი: კვერნისა, ყარყუმისა, თეთრი მელისა, სკონგსისა—ფუთზე	200	—
	დ., ტყავი: თხუნელასი, მთიხვისა, მელისა, სივედუშკა, კარაკულჩი და დედოფალასი,—ფუთზე . .	100	—
	ე., ტყავი: გარეული კატისა, ტარაკულისა, თხუნელასი, თეთრი დათვისა, წავისა (ვიდრა), ციმბირის კვერნისა, სინიაკისა, კრიმკასი, წყლის წავისა, კრესტოვატიკისა, ირმის ნუკრისა, წითელი და მოწითანო მელისა, შავი ქრცვინისა, ფოცხვერისა და ვეფხისა,—ფუთზე	80	—
	ვ., ტყავი: ავაზისა, ნეპლიუისა, როსომახასი, თეთრი ქრცვინისა, კოსაკისა, ციყვისა, ციყვის კუდები და კრაველისა,—ფუთზე	25	—
	ზ., ტყავი: ზაზუნასი, ციმბირის თრითინასი, ბატკნისა, ველური მელისა, ტარაბაგანისა,—ფუთზე .	10	—
	თ., ტყავი: კურდღლისა, თეთრი კურდღლისა, რუხი კურდღლისა, კროლიკისა, მაჩვისა, ზღვის ძაღლისა (ტიულენი), მგლისა, მოშავ-მოწითანო დათვისა, კატისა, ცხვრისა, თხისა, კვიცისა, -ფუთზე . .	5	—
	ი., ტყავი: ძაღლისა, სინჯაფისა,—ფუთზე	1	—
	კ., ცალკე არ აღნიშნული ტყავეულობა,—ფუთზე .	10	—
	ბ. 2. ბეწვეული გამოქნილი:		
	ა., ბეწვიანი ტყავი გამოქნილი, ხოლო შეუღებავი, გაიტანება თანაბარი სახელწოდების ნედლი—გამოუქნელი ბეწვეულის ტარიფით, ხოლო დაკლებით—ფუთზე	30%	-სა

ტარიფ. მუხ.	საქონლის სახელწოდება.	ბაჟი მან.	ბაჟი კაპ.
	ბ.. ბეწვიანი ტყავი, გამოქნილი და შეღებილი, გაიტანება თანაბარი სახელწოდების ნედლი-გამოუქნელი ბეწვეულის ტარიფით, ხოლო დაკლებით ფუთზე	50%	-სა
13	**ᲑᲖᲐ** (კავკასიის პალმა), ურთხელა, ოდაღაჯი, კაკლის ხე და კაკლის ხის ჯრიკველა, ჭანდარი ძელებად, მორებად, კუნძებად, მორგვებად,—ფუთზე	—	55
14	**ᲢᲧᲘᲡ ᲛᲐᲡᲚᲐ**, წინა მუხლში აღნიშნულის გარდა:		
	Გ. 1. საამშენებლო და სანაკეთო ხისგნეული—ძელებად და კუნძებად, გარდა ცალკე აღნიშნულისა, დახერხილი მხოლოდ გარდიგარდმო, ქერქიანი თუ ქერქ გაძრობილი,—სიმსხოს მიუხედავად,—ფუთზე	—	1/2
	Გ. 2. ბალახსები, ე. ი. ნაძვისა და ხოჭის მორგვები, ქერქიანი თუ ქერქ გაძრობილი,—სიმსხოს მიუხედავად,—ფუთზე	—	1 1/2
	Გ. 3. ვერხვის კუნძები, ქერქიანი თუ ქერქ გაძრობილი, სიგრძის მიუხედავად, სისქით 15 სანტ. და მეტიც მოწვრილო მხარეს (დაახლოებით 1 1/2 ვერშ.), ფუთზე	—	3
15	**ᲗᲔᲡᲚᲔᲣᲚᲘ**:		
	Გ. 1. სელისა, კანაფისა, მზეუჭვრიტასი, ყაყაჩოსი და სხვ. ზეთეული თესლი,—ფუთი ბრუტტო	—	25
	Გ. 2. ალავერდასი, ქვიშნარი, ირინჯასი და სხვ. საკვები ბალახის თესლი		
	Გ. 3. ჭარხლის თესლი	უბაჟოდ.	
	Გ. 4. თესლეული, გარდა ცალკე აღნიშნულისა,—ფუთი ბრუტტო	—	25
16	**ᲙᲕᲐᲠᲙᲕᲐᲚᲘᲢᲐ** (ᲡᲞᲝᲠᲘᲜᲘᲐ)—ფუთი ბრუტტო	1	—
17	**ᲦᲕᲘᲐ** (ლიკოპედი)—ფუთზე.	3	—
18	**ᲡᲐᲜᲢᲝᲜᲘᲜᲘ** და ყოველგვარი ნახევარ-პროდუქტი, რომელიც არ წარმოადგენს მთლად გამოუქნელ სანტონინს, გარეანქა ბრუტტო	20	—
19	**ᲨᲘᲠᲐ ᲜᲐᲧᲐᲠᲘ**		
	Გ. 1. შირის ნაყარი, ნაკეთობისათვის გამოუყენებელი, თუნდაც დაწვრილმანებულიც იყოს,—ფუთზე .	—	25

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარიფ. ფუნ.	საქონლის სახელწოდება.	ბაჟი მან.	ბაჟი კაპ.
	3. 2. შირის ნაყარი ბრტყელ-ბრტყელი ნაჭრები, თუნდაც ბანჯგვლნარევი, — ფუთზე	—	10
20	**სპილენძისა და ტყვიის** მადანი, — ფუთზე	უბაჟოდ	
21	**ძონძეული და ნაკუწები** ტილოსი და ბამბეულისა, — ფუთზე	1	—
22	**სელი**:		
	3. 1. სელი ნაჩეჩი, ნაძენძი და ნედლად, — ფუთი ბრუტტო	—	50
	3. 2. ნაჩეჩი სელის ნაყარი, სელის ქულები და სელის ნაწეწი, — ფუთი ბრუტტო	—	25
23	**აბრეშუმი**:		
	3. 1. მთლიანი პარკი — გირვანქა ბრუტტო	2	—
	3. 2 წუნდადებული პარკი და აბრეშუმის ნაყარი ყოველი ხარისხისა და სახელწოდებისა ფუთი ბრუტტო	—	50
	3. 3. ყოველგვარი ყაქეული, — ფუთი ბრუტტო . . .	2	50
	შენიშვნა. შინა მრეწველობის წარმოების ყაჭი, რომელიც თურქისტანის საზღვარით გაიტანება	უბაჟოდ	
24	**მატყლი** ყოველგვარი, გარდა მერინოსისა, — ფუთი ბრუტტო	1	—
25	ყველა, ცალკე არ აღნიშნული, გისატანი საქონელი . . .	უბაჟოდ	
	ბ. გასატანად აკრძალული საქონლის ნუსხა.		
26	**ზარბაზნები**, ასაფეთქებელი ნივთიერება, სამხედრო ხელსაწყო, სხვათა შორის საველე ბინოკლი, საფრენი აპარატი და მის ნაწილები, სამხედრო სასროლო საგნები, ტყვიის მფრქვეველი, ყუმბარა და სხვ.		
27	**სატელეგრაფო**, სატელეფონო და რადიო-ტელეგრაფის ქონება		
28	**ავტომობილი** და მოტოციკლეტი		
	შენიშვნა. ავტომობილისა და მოტოციკლეტის გატანა კერძო შემთხვევაში შესაძლებელია, რისთვისაც დაცულ უნდა იქნეს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ, ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და გზათა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოცემული წესები.		

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ტარიფ. მუხ. | საქონლის სახელწოდება | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერ. მუხ.	საქონლის სახელწოდება.	ბაჟი	
		მან.	კაპ.
36	**ბამბის** გატანა სახღვარგარეთ, როგორც ტრანზიტით, ისე ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებიდან აკრძალულია.		
37	**ცხენი.**		
	შენიშვნა. უკეთუ შესაძლებლად იქნება ცნობილი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებიდან ცხენის გაყვანა უცხო სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად, ან უკეთუ საქონელი გატანილ იქნება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საზღვრებიდან შარაგზით, ცხენის ბაჟი განისაზღვრება თვითეულ სულზე 100 მანეთით.		
38	**მტრედი.**		

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა“-ს 1923 წ. აპრილის 3-ს თარიღის 74 №-ში.

დადგენილება № 42 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1923. წ. მარტის 31.

56. წითელ ჯარში და ფლოტში გაწვეულ დაზღვეულთა ოჯახებისათვის დამატებითი დახმარების მიცემის შესახებ; ბავშვის გამოსაკვებად დამატებითი დახმარების მიცემის შესახებ; მუშამოსამსახურეთათვის მიცემული საწარვლინებო გასამჯელოს თანხებიდან სადასაზღვეო გამოსაღების დაუკერლობის შესახებ.

ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიალურ და სატრანსპორტო დაზღვევის სალაროებზე გავრცელებულ იქნეს რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატის შემდეგი დადგენილება სოციალური დაზღვევის სფეროში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I წითელ ჯარში და ფლოტში გაწვეულთა ოჯახებისათვის დამატებითი დახმარების მიცემის შესახებ

1., შეენარჩუნოს ერთი თვის განმავლობაში დღიდან დაზღვეულის წითელ ჯარში და ფლოტში გაწვევისა მის ოჯახს უფლება შრომის კანონთა კოდექსის 183 და 185 მუხ. ათვალისწინებული ყოველგვარი დამატებითი დახმარების მიღებისა; ამასთანავე დახმარება გამოკვებისათვის ეძლიოს კანონით დაწესებული ცხრა თვის განმავლობაში მშობიარობის დღიდან.

2., პირველ პუნქტში აღნიშნული დამატებითი დახმარება გაიცემა დაზღვეულს სალაროდან, რომლის მონაწილეთაც ითვლებოდა წითელ ჯარში და ფლოტში გაწვეული ან საიდანაც მან ჯარში გაწვევამდე, მიიღო დახმარება უმუშევრობის გამო.

3., პირველ პუნქტში აღნიშნული დამატებითი დახმარება გაიცემა ლიტ. „ა“ ან „ბ“ ფონდიდან, იმის მიხედვით. მუშაობდა დაზღვეული, ჯარში გაწვევამდე, საწარმოში (სამეურ. დაწეს.), თუ შრომის ბირჟაში უმუშევრად ითვლებოდა.

II., ბავშვის გამოსაკვებად დამატებითი დახმარების მიცემის შესახებ.

შრომის კანონთა კოდექსის 183 მუხ. თანახმად დამატებითი დახმარება ბავშვის გამოკვებისათვის ეძლევა დაზღვეულს ან მის მეუღლეს იმის მიუხედავად, აწოვებს თუ არა ბავშს დედა ძუძუს. დახმარება გაიცემა ყოველთვიურად სათანადო დოკუმენტის წარდგენის შემდეგ იმის დასამტკიცებლად, რომ ბავში ცოცხალია.

III., მუშა-მოსამსახურეთათვის მიცემული საწარვლინებო გასამჯელოს თანხებიდან სადასაზღვევო გამოსაღების დაუჭერლობის შესახებ.

იმ თანხებიდან, რომელიც მუშა-მოსამსახურეს მიეცემა იმის კომპენსაციად, რომ შვებულება არ ისარგებლა, ან დღიურ სარგოდ წარკლინებისათვის. ან და ხარჯისათვის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაყვანის გამო,— სადასაზღვევო გამოსაღები არ დაეჭირება.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარის
მოადგილე **ბახუტოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. აპრილის 4-ს თარიღის 75 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1923 წ. აპრილის 2.

57. უნიშანწყლო ქაღალდზე დაბეჭდილი წვრილი კუპიურების სავალდებულო მიღების შესახებ.

რადგანაც ამიერკავკასიის ფულის ნიშნების წვრილი კუპიურები—50.000 მან. ღირსებამდე—და ამიანდაც—იბეჭდება, სხვათაშორის, უნიშანწყლო ქაღალდზედაც,—ვაცხადებთ, მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ამერიკაკავასიის ფულის ნიშნების აღნიშნული წვოილი კუპიურები გამოშვებულია იმ კუპიურების თანაბრად, რომლებიც ნიშნწულიან ქაღალდზე იბეჭდება და, ამის გამო, მათი მიღება საკალდებულოა ყველა,—გამოუნაკლისად.—ს. ხელმწიფო და საზოგადო დაწესებულებისათვის და აგრეთვე კერძო საწარმოსა და პირთათვის; ამასთანავე უნიშნწყლო კუპიურებზე შესწორებულია ზოგიერთი ასო ქართული წარწერისა.

ამერიკაკავასიის ფინანსთა სახალხო
კომისარი **ნ. ტუმანოვი.**
საკალიუტო სამმართველოს უფროსი **ა. საფარიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა“-ს 1923 წ. აპრილის 5 თარიღის 76 №-ში.

დეგულეგა.

I

58. შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის შესახებ (ამერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისია)

1. რათა ხელი შეეწყოს დანგრეულ მეურნეობათა აღდგენას და დახმარება გაეწიოს მოსახლეობის არაუზრუნველყოფილ კატეგორიებს, ომისა, შრომისა და შიმშილობის ინვალიდთ და უსაპარო ბავშვთა და ლტოლვილთ, პირველ რიგში ამერიკაკავასიის ფედერაციის ომისა და შიმშილობისაგან დაზარალებულ რაიონებში—ამერიკაკავასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ამა წლის თებერვლის 26-ს დადგენილების საფუძველზე ამერიკაკავასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსდება ამერიკაკავასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისია, რომელიც დაიწყებს თავის მოქმედებას ამა 1923 წლის აპრილის 10-დან.

2. აღნიშნულ ამერიკაკავასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალურ კომისიაში შედის: თავმჯდომარედ ამხ. მ. ცხაკაია, თავმჯდომარის მოადგილედად ამხ. ს. ამბარცუმიანი და აღამალი-ოღლი და წევრებად პასუხისმგებელი წარმომადგენელნი შემდეგი დაწესებულებებისა: თითო წარმომადგენელი გაერთიანებული: უმაღლესი ეკონომიური საბჭოსაგან, ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან, სასურსათო სახალხო კომისარიატისაგან, შრომის სახალხო კომისარიატისაგან, კავკასიის ცალკე არმიის სამხედრო რევოლიუციონური საბჭოსაგან, ორი-ორი წარმომადგენელი სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს ამერიკაკავასიის ბიუროსაგან და კოოპერატივთა ცენტრალური კავშირის ამერკავკასიის განყოფილებისაგან და ამერიკის დახმარების კომიტეტთან მყოფი ამერიკაკავასიის სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენელი.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნული მიზნის განხორციელებისათვის ამერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისია:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს, შეათანხმებს და გააერთიანებს შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის სფეროში მომუშავე ამერიკაკავასიის სახალხო კომისრები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა, საბჭოთა დაწესებულებებისა, რესპუბლიკანური შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მოქმედებას, და აგრეთვე განიხილავს და დაამტკიცებს მათ ოპერატიული ხასიათის დავალებათა გეგმას;

ბ) ხელს შეუწყობს შიმშილობის გამო ლტოლვილთა დანგრეული სოფლის მეურნეობის აღდგენას და აგრეთვე მეურნეობის არა მქონეთ მათთვის შეღავათიან პირობებში სათესლე მასალისა, მუშა-საქონლისა, წარმოების იარაღებისა და ფულის მიცემით და სხვ.;

გ) გამოარკვევს შიმშილობის შედეგების ფარგლებს, რაც გამოიხატა ნათესის, მუშა-საქონლის, უსულო ინვენტარის და მრეწველობის შემცირებაში;

დ) განსაზღვრავს შიმშილობის გამო ლტოლვილთა, მეურნეობის არა მქონეთა, დაზარალებულ მუშათა, დაობლებულ ბავშვთა და ომისა, შრომისა, შიმშილობისა და სხვ. ინვალიდთა რიცხვს, რომელთაც ესაჭიროებათ დახმარება.

ე) ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ სამუშაოთა და შინამრეწველობის წარმოებათა ორგანიზაციას და მრეწველობის აღდგენას უაღრესი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მნიშვნელობისა და მცხოვრებთა უკიდურესი გაჭირვების რაიონებში.

3) მიაქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას დაობლებულ ბავშვთა, ომისა, შრომისა და შიმშილობის ინვალიდთა და დაზარალებულ მუშათა დახმარების საქმეს, გამოჰყოფს რა თავისი მატერიალური რესურსების ნაწილს ბავშვთა დაწესებულებათათვის, ბავშვთა უსავანობასთან ბრძოლისათვის, ინვალიდთა დაწესებულებათათვის, ინვალიდთა საპროტეზო და სხვ. დახმარებისათვის და უმუშევართა დახმარებისათვის.

4. ამიერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის სხდომები გაიმართება ათ დღეში ერთხელ მაინც.

5. ამიერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის ყოველი გადაწყვეტილება, შეთანხმებული ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატებთან და რესპუბლიკათა შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალურ კომისიასთან, — საბოლოოა და სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი დაუყოვნებლივ, ხოლო ისეთი დადგენილება, რომლის შესახებაც განცხადებულია არა თანხმობა, — გადაეცემა სასწრაფო განხილვისათვის ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

შენიშვნა. განსაჩივრების ვადა არის ერთი კვირა; ამასთანავე განსაჩივრება ვერ შეაჩერებს ამიერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის დადგენილების სისრულეში მოყვანას.

6. ყველა სახალხო კომისარიატი და დაწესებულება ვალდებულია 48 საათის განმავლობაში მისცეს ამიერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალურ კომისიას ცნობა, ანგარიში და სხვ., რასაც იგი მოითხოვს.

7. ამიერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის სახსარს შეადგენს: საერთო-ფედერატიული სახელმწიფო ფონდები, რაც გაცემულ იქნება შიმშილობის შედეგების ლიკვიდაციისათვის; სპეციალური საა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრიცხვო კრედიტები და გაერთიანებულ კომისარიატთა საშუალებანი; მიზნობრივი გამოსაღები და გადასახადები და აგრეთვე ნებაყოფლობითი ანარიცხი და შემოწირულებ ნი, რაც გაცემულ იქნება ამიერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის სასარგებლოდ, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოეთში.

8. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყობა შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის რესპუბლიკანური ცენტრალური კომისია (აზერბაიჯანის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისია, სომხეთის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისია, საქართველოს შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისია), ხოლო ადგილობრივ—შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ადგილობრივი კომისიები.

9. ამიერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალურ კომისიას საკუთარი აპარატები არა ჰყავს და გამოიყენებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, სათანადო სახ ლხო კომისარიატებისა და რესპუბლიკანური შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიების აპარატებს.

II.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესუბლიკათა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრილური კომისიების შესახებ.

1. ადგილობრივი შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის კომისიების მოსაწყობად და გასაერთიანებლად, მათი მიმდინარე მუშაობისათვის ხელმძღვანელობისა და კონტროლის გასაწევად და აგრეთვე შიმშილობის შედეგების წინააღმდეგ ადგილობრივ ბრძოლის მოსაზადებლად და მის შესათანხმებლად ამიერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის გეგმისად მომქმედებასთან—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი თვითეული რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყობა შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის რესპუბლიკანური ცენტრალური კომისია, რომელშიც შეკვლენ: ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, წარმომადგენელი სასურსათო, ფინანსთა, განათლებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისა, წითელი ჯვრისა, წითელი ნახევარ-მთვარისა, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, სოციალური უზრუნველყოფისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა და კოოპერატიეთა კავშირისა.

2. 1-ლი მუხლით გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად იმ რაიონებში, რომელიც ამიერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის ცალკე დადგენილებით ცნობილ იქნება დაზარალებულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიმშილობისა ან სხვა უბედურების გამო,—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის რესპუბლიკანური ცენტრალური კომისია:

ა) განახორციელებს ამიერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის გეგმისამებრ იმ მიზანსა და ღონისძიებათა, რაც გათვალისწინებულია ამიერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის დებულების 3 მუხლის ა—ე პუნქტებში.

ბ) ხელმძღვანელობას გაუწევს, შეათანხმებს და გააერთიანებს შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის სფეროში მომუშავე რესპუბლიკანური სახალხო კომისარიატებისა, საბჭოთა დაწესებულებებისა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და ადგილობრივ კომისიათა მოქმედებას და აგრეთვე განიხილავს და დაამტკიცებს მათ ოპერატიული ხასიათის დავალებათა გეგმას.

3. რესპუბლიკანური შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის სახსარი შესდგება: ამიერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის მიერ გაცემულ საშუალებათაგან, სპეციალური ადგილობრივი კრედიტებისაგან, რესპუბლიკანურ კომისარიატთა საშუალებათაგან, გადასახადებისაგან და აგრეთვე ნებაყოფლობითი ანარიცხისა და შეწირულებათაგან, რაც რესპუბლიკანური შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის სასარგებლოდ გაცემულ იქნება ადგილობრივ ან უცხოეთში.

4. რესპუბლიკანური შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის სხდომები გაიმართება კვირაში ერთხელ მაინც.

5. რესპუბლიკანური შიმშილობის შედეგებთან ბოძოლის ცენტრალური კომისიის ყოველი გადაწყვეტილება, შეთანხმებული რესპუბლიკანურ კომისარიატებთან—საბოლოოა და სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი დაუყონებლივ, ხოლო ისეთი დადგენილება, რომლის შესახებაც განცხადებულ იქნება არათანხმობა,—გადაეცემა სასწრაფო განხილვისათვის რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

შენიშვნა: განსაჩივრების ვადა არის ერთი კვირა; ამასთანავე განსაჩივრება ვერ შეაჩერებს ამა თუ იმ რესპუბლიკის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის დადგენილების სისრულეში მოყვანას.

6. თვითეული რესპუბლიკანური კომისარიატი და დაწესებულება ვალდებულია 48 საათის განმავლობაში მისცეს შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალურ კომისიას ცნობა, ანგარიში და სხვ., რასაც იგი მოითხოვს.

7. რესპუბლიკანური შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისია გამოიყენებს სათანადო სახალხო კომისარიატებისა, და მათი ადგილობრივი განყოფილებების აპარატს, ხოლო საკუთარ აპარატს მოაწყობს ძარტოოდენ მუშაობის თავისებურობის მიხედვით და ამიერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის სპეციალური დადგენილებით.

8. რესპუბლიკანური შიმშილობასთან ბრძოლის ცენტრალური კომისია თვეში ერთხელ წარუდგენს ამიერკავკასიის შიმშილობასთან ბრძოლის ცენტრალურ კომისიას თავისი მოქმედების ანგარიშს და ცნობას შიმშილობის შედეგებთან ბრძოლისათვის შემოსულ და განაწილებულ თანხების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III.

შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ადგილობრივი კომისების შესახებ.

1. შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ადგილობრივი კომისიები მოეწყობა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან და მოქმედებენ სათანადო რესპუბლიკანური შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის უშუალო ხელმძღვანელობისა და კონტროლის ქვეშ. ადგილობრივი კომისია მოეწყობა შემდეგი შედგენილობით: პასუხისმგებელი სამეული, რომელსაც თავმჯდომარეობს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და ორი წევრი რესპუბლიკანური შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის დანიშვნით.

2. შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ადგილობრივ კომისიის მოვალეობას მისი მოქმედების რაიონში შეადგენს:

ა) გაერთიანება ყველა საპუოთა, პროფესიონალური და კოოპერატიული ორგანოების მუშაობისა შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის საქმეში;

ბ) შეგროვება შემოწირულებათა და ხელფასის ნებაყოფლობითი ანარიცხისა და აგრეთვე გამოძებნა სხვა ფინანსიური წყაროებისა შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის საჭიროებისათვის.

გ) დახმარების აღმოჩენა ადგილობრივ ინვალიდებისთვის, უპავანო ბავშვებისათვის, შიმშილობის გამო ლტოლვილთათვის და უმუშევარ მუშებისთვის რესპუბლიკანური შიშშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის მიერ დამტკიცებული გეგმისამებრ.

დ) ხელის შეწყობა, განსაკუთრებულ შემთხვევაში, დანგრეულ მეურნეობათა აღდგენისათვის — ადგილობრივ — ამიერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის მიერ დამტკიცებული გეგმისამებრ.

3. შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ადგილობრივი კომისიის სახსარს შეადგენს:

ა) შემოწირულებანი და ნაბაყოფლობითი ანარიცხი სამუშაო ხელფასისა შიშშილობის შედეგებთან ბრძოლის ადგილობრივი კომისიის სასარგებლოდ.

ბ) საშუალებანი, რასაც გასცემს რესპუბლიკანური შიშშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისია და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი.

4. შიშშილობის შედეგებთან ბრძოლის ადგილობრივი კომისია თვეში ერთხელ წარუდგენს რესპუბლიკანურ შიშშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალურ კომისიას თვეის მოქმედების ანგარიშს და ცნობებს მიღებულ და განაწილებულ საშუალებათა შესახებ დადგენილი წესით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი **ბ. თალიბელი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. აპრილის 6 თარიღის 77 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ ულ ე ბ ა

59. შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ამიერკავკასიისა, რესპუბლიკებისა და ადგილობრივ კომიტეტებთან არსებული დაშავებულ მეომართა და მათი ოჯახების დამხმარე სექციების შესახებ.

1923 წ. აპრილის 3.

1., დაშავებულ მეომართა და მათი ოჯახების დახმარების საქმის წესიერად დაყენებისა და მათთვე ინტერესის, რაც შეიძლება, საუკეთესო მოვლის მიზნით, შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ამიერკავკასიისა (შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრ. კომიტ.) და რესპუბლიკების კომიტეტებთან არსდება დაშავებულ მეომართა და მათი ოჯახების დამხმარე სპეციალური სექციები.

2., ზემოაღნიშნული მიზნის განსახორციელებლად შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ამიერკავკასიის კომიტეტის სექციას დაეკისრება:

1. იმ დაშავებულ მეომართა მიმართ, რომელთაც დაჭკარგვიათ შრომის უნარიანობის 80-დან 100%-დე,— გახსნას პატრონატები და ნივთიერი დახმარება გაუწიოს თვით მათ და მათ ოჯახებს.
2. —ახალი დანაწილების მე-2, 3, 4, 5 და მე-6 ჯგუფის იმ დაშავებულ მეომართა მიმართ, რომელნიც მოიხსნებიან სახელმწიფო მზრუნველობისაგან, შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ამიერკავკასიის კომიტეტის სექციამ:

ა., უნდა მოაწყოს შრომის პროცესები, საჩვენებელი სახელოსნოები, სასოფლო-სამეურნეო შრომის კომუნები, საწარმოო, არტელები და კოოპერატივები.

ბ. უნდა მოაწყოს საბავშვო სახლები, კლუბები, სკოლები და სხვადასხვა კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი.

გ. გაუწიოს სამკურნალო დახმარება სასტაციონერი და საამბულატორო წამლობით.

დ. უნდა მოაწყოს საშრომო დახმარება, რათა ახალი დანაწილების ხსენებული ჯგუფების დაშავებულ მეომართა მიეცეთ სასყიდლიანი სამუშაო სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებაში უპირატესად სხვა უმუშევარებთან და მოათავსოს იგინი სექციის მიერ მოწყობილ საინვალიდო და წარმოებითი შენაერთებში.

ე. მოაწყოს სასოფლო-სამეურნეო დახმარება.

ვ. გაუწიოს დახმარება ნატურით სრულიად შრომის უნარდაკარგულ დაშავებულ მეომართ, რომელნიც, რაიმე მიზეზის გამო, ვერ იქნენ პატრონატებში მოთავსებულნი; აგრეთვე მათ ოჯახებსაც.

ზ. გაუწიოს ფულადი დახმარება (ერთდროული) იმ დაწესებულებათა მეშვეობით, რომელნიც განაგებენ დაშავებულ მეომართა საქმეს.

თ. გაისტუმროს ხოლმე გავლით მყოფი დაშავებული მეომარნი და გაუწიოს მათ იურიდიული დახმარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. ა., აღნიშნული მიზნით სექცია გამოსცემს ნორმალურ წესდებას საინვალიდო და წარმოებითი შენაერთებისათვის.

ბ., სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანო მოვალეა დახმარება გაუწიოს ზემოაღნიშნულ საინვალიდო შენაერთთა უპირატესად სხვა შენაერთთა და კერძო პირებთან.

გ. სექცია და მისი ორგანოები მიიღებენ ყოველგვარ ღონისძიებას რათა ზემოაღნიშნული საინვალიდო შენაერთთა გაუფვიანლონ მოღვაწეობა, როგორც წარმოებისათვის საჭირო მასალით, ნედლეულობისა და იარაღის მოპოვება — შეძენით, ისე ნაწარმოების დაკვეთით და გასაღებით.

3. შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ამერეკავკასიისა და რესპუბლიკების კომიტეტებთან არსებული სექციების შედგენილობა განისაზღვროს იმ პირთაგან, რომელთაც დანიშნავენ კომიტეტები კუთვნილებისამებრ: შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ამეერკავკასიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ სექციისათვის—სამისაგან, ხოლო დანარჩენებისათვის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის სათანადო კომიტეტების მიხედვით.

4. დაშავებულ მეომართა და მათი ოჯახების დამხმარე სექციების სახსარი შესდგება იმ კრედიტებისაგან, რასაც გადასდებენ შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის სათანადო კომიტეტები, სექციების სასარგებლოდ მოგროვილ ნებაყოფლობითი ანარიცხისა და შემოწირულებისაგან და გამართული წარმოდგენებისა, კონცერტებისა და სხვ. შემოსული თანხებისაგან.

ამეერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ამბარცუმიანი**

ამეერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. აპრილის 6-ს თარიღის 77 №-ში.

დეკრეტი ამეერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამეერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. აპრილის 3.

60. საყოველთაო საქ. ლაქო აღწერის შესახებ.

რათა დანამდვილებით და უტყუარი ცნობებით გამორკვეულ იქნეს, თუ ახალ ეკონომიურ პირობებ შორის როგორ ვითარდება ქალაქის ცხოვრება, ამეერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ყველა ქალაქში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას მოხდება აღწერა მოსახლეობისა, ბინისა, მფლობელობისა, და როგორც სახელმწიფო (სამხედრო და საზღვაო უწყების გამოუნაკლისად), — ისე კერძო სამრეწველო საწარმოსი და სავაჭროებისა, იმ ინსტრუქციის პროგრამით, რომელიც დამტკიცებულია ამეერკავკასიის ცენტრალურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საყოველთაო საქალაქო აღწერის ცალკე კომისიის მიერ. ამავე კომისიას მიენდობა აღწერის საერთო ხელმძღვანელობა.

შენიშვნა. რადგანაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში ქალაქის მოსახლეობისა, ბინებისა და მფლობელობის აღწერა 1922 წ. ნოემბრის 30-ს მოხდა, ამისგამო იქ აღიწეროს მხოლოდ სამრეწველო საწარმონი და სავაჭროები.

1. აღწერის დღედ გამოცხადდეს ამა წლის მაისის 5.

2. აღწერის წარმოება ცალკე რესპუბლიკებში დაეკისრება ცენტრალურ-სტატისტიკურ სამმართველოებს.

3. ყველა საბჭოთა ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებას მოვალეობად ჩაეთვლება გაუწიოს ყოველმხრივი დახმარება რესპუბლიკანურ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს და აგრეთვე აღწერის ყველა მომუშავეს მათთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების დროს, ხოლო კერძოდ:

ა. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა სასწრაფოდ უნდა მიიღოს ყოველი ღონისძიება, რათა რესპუბლიკათა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებს თავის დროზედ მიეცეთ ფულის ნიშნები აღწერისათვის გადადებული კრედიტის ფარგლებში.

ბ. ამიერკავკასიის რკინისგზის სამმართველომ უნდა მისცეს აღწერის მუშაობაში ჩაბმულ პირთ უფლება რიგს გარეშე მიმოსვლის ბილეთის მიღებისა და მიიღოს ყოველი ღონისძიება სააღწერო მასალის აღწერის ადგილზე გადახდვისა და ადგილებიდან უკან მიღებისათვის.

4. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებს, მათ ადგილობრივ ორგანოებს და რწმუნებულთ უფლება ეძლევათ აღწერისათვის თანამშრომლების მიწვევისა და ამის შესახებ შრომის განაწილებისა და ბრიკისათვის შემდგომი შეტყობინებისა. უკეთუ საჭიროება მოითხოვს საბჭოთა დაწესებულებანი წარაველინებენ თავიანთ თანამშრომლებს სააღწერო მუშაობისათვის სტატისტიკურ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

5. დეკრეტი ესე განხორციელდება სამოქმედოდ ტელეგრაფით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. აპრილის 6 თარიღის 77 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკრეტი ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. აპრილის 5.

61. იმ პირთა შესახებ, რომელნიც თავიანთ თავს ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებული არა-საბჭოთა სახელმწიფოების მოქალაქეთა რიცხვს მიაკუთვნებენ.

1. ის, ვინც თავის თავს ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებული არა-საბჭოთა სახელმწიფოს მოქალაქედ აცხადებს, შეიძლება ჩაითვალოს ასეთ მოქალაქედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ დღეევანდლამდე თავის სამშობლოში მიღებული აქვს საცხოვრებელი დოკუმენტი (ეროვნული პასპორტი), ან,-უკეთუ მას,-თთანახმად განაპირა სახელმწიფოებთან დადებული შეთანხმებისა ოპტაციის შესახებ,-განცხადებული აქვს დადგენილი წესისამებრ ოპტაციის თაობაზე და ეს ხელისუფლების სათანადო ორგანიების მიერ ცნობილია პატივსადებ საბუთად და ამასთანავე მიღებული აქვს შესაფერი მოწმობა მისი ახალი მოქალაქეობისა.

ის, ვინც არ აკმაყოფილებს ამა მუხლში აღნიშნულ მოთხოვნას, უცხო სახელმწიფოს მოქალაქედ არ ჩაითვლება.

2. ამა დეკრეტის პირველ მუხლში აღნიშნული სახელმწიფოების საკონსულო და დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში ყველა დღეევანდლამდე გაცემული საცხოვრებელი დოკუმენტი, პასპორტი და მოწმობა ჩაითვლება არა სანამდვილოდ.

3. ის, ვინც, ამა დეკრეტის თანახმად, ცნობილი არ იქნება ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებული არა-საბჭოთა სახელმწიფოს მოქალაქედ, მოვალეა, დღეიდან ერთის თვის ვადაზე, მიიღოს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი საბჭოთა რესპუბლიკების სათანადო დაწესებულებიდან შესაფერი პასპორტი ან საცხოვრებელი დოკუმენტი მუდმივი საცხოვრებელი ადგილისამებრ.

4. მას, ვინც ეკუთვნოდა ყოფილი რუსეთის იმპერიის მოქალაქეთა რიცხვს და რომელიც ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე სცხოვრობს, ხოლო დადგენილის წესით უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობის ოპტაცია არ მოუხდენია, შეუძლიან გადავიდეს ამ მოქალაქეობაში საერთო წესით, თანახმად საბჭოთა ცალკე რესპუბლიკებში არსებული კანონისა—უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობაში გადასვლის შესახებ.

5. ამა დეკრეტის განხორციელებისათვის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა გამოსცეს ცალკე ინსტრუქცია.

6. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ვ. პოლის.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა“-ს 1923 წ. აპრილის 6-ს თარიღის 77 №-ში.

დადგენილება ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. აპრილის 5.

62. უცხოელთა და უცხოელ იურიდიულ პირთა უფლების შესახებ.

1. იმ უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა უფლებანი, რომელთანაც ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკას დადებული აქვს რაიმე შეთანხება, მოწესრიგებულ უნდა იქნეს ამა შეთანხმებით.

2. რამდენადაც უცხოელთა უფლებანი გათვალისწინებული არ არის სათანადო მთავრობასთან დადებული შეთანხმებით, ან სპეციალური კანონით, უცხოელთა უფლება თავისუფალი მიმოსვლისა ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე, პროფესიის ამორჩევისა, სავაჭრო-სამრეწველო საწარმოოს გახსნისა და შეძენისა, სანივთო უფლების შეძენისა შენობაზე და მიწის ნაკვეთებზე—შეიძლება შეზღუდულ იქნეს ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სათანადო ცენტრალური ორგანოების დადგენილებით გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებისამებრ.

შენიშვნა 1-ლი. უცხოთის სააქციო საზოგადოება, ამხანაგობა და სხვ. მოიპოვებს იურიდიული პირის უფლებას ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში მხოლოდ მთავრობის განსაკუთრებული ნებადართვით.

შენიშვნა 2-ე. უცხოელ იურიდიულ პირს, რომელსაც ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში ოპერაციების წარმოების ნებართვა არა აქვს, შეუძლიან ისარგებლოს სასამართლოს წესით დაცვის უფლება იმ პრეტენზიების გამო, რაც აღიძვრება ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლების გარეშე და შეეხება ამ რესპუბლიკაში მყოფ მოპასუხეს, ხოლო ურთიერთობრასაფუძველზე.

3. ამა დადგენილების გამოცემისთანავე გაუქმებულ უნდა იქნეს ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი ცალკე რესპუბლიკების ყოველი დეკრეტი და დადგენილება უცხოელთა უფლებების მოწესრიგების შესახებ.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბელი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. აპრილის 11-ს თარიღის 80 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 32. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. აპრილის 7.

63. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოებისა და აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკის წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოების სასარგებლოდ რკინისგზის სამგზავრო ბილეთებზე დაწესებული გამოსაღების შესახებ.

1. რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის ნოემბრის 16-ს დადგენილებით რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ რკინისგზის სამგზავრო ბილეთებზე დაწესებული გამოსაღების ის ნაწილი, რაც გადახდევინებულ იქნება ამიერკავკასიის რკინისგზების სადგურებზე, მიმართულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოებისა და აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკის წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოების სახსართა გასაძლიერებლად—თანაბარი როოდენობით.

2. ამიერკავკასიის რკინის გზების გამგეობა აღნიშნულ გამოსაღებს შეიტანს მთლად ზემოხსენებული წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებათა სალაროში.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომი-სართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. აპრილის 11-ს თარიღის 80 №-ში.

დადგენილება № 33. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. აპრილის 7.

64. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოებისა და აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკის წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოების სასარგებლოდ საკონსულო აქტებზე დაწესებული გამოსაღების შესახებ.

1. დაწესებულ იქნეს,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოებისა და აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკის წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოების სახსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის გასაძლიერებლად,—დამატებითი 10%-ნი გამოსაღები ყველა იმ საკონსულო აქტებზე, რაც ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში ქმნილ იქნება გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ და რისთვისაც გადახდევინებულ უნდა იქნეს სახელმწიფო გამოსაღები დაწესებული რაოდენობით.

2. აღნიშნული დამატებითი გამოსაღები განაწილებულ უნდა იქნეს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებათა შორის.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. აპრილის 14-ს თარიღის 80 №-ში.

დეკრეტი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. აპრილის 7.

65. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში საქონლის შემოტანისა და გატანის შესახებ.

საგარეო ვაჭრობის შემდგომი მოწესრიგებისათვის ამიერკავკასიის სოც ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

1. ყველა ევროპიული ვაჭრობის შემოსატანი საქონელი სალიცენზიოდ იქნეს გამოცხადებული.

2. ევროპიული ვაჭრობის გასატანი საქონლისათვის დაწესებულ იქნეს ორა ჯგუფი: სალიცენზიო და თავისუფალი.

შენიშვნა: თავისუფალი ჯგუფისათვის მიკუთვნებული საექსპორტო საქონლის სიას განსაზღვრავს და გამოქვეყნებს ამიერკავკასიის სოც. ფედ საბჭ. რესპ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი.

3. სალიცენზიოდ გამოცხადებული საქონლის იმპორტს და ექსპორტს ყველა სახელმწიფო დაწესებულება, კოოპერატივი, საზოგადოება, კერძო ორგანიზაცია და პირი აწარმოებს არა სხვაგვარად, თუ არა თვითეული შემთხვევისათვის ცალკე ნებადართვით (ლიცენზიით), რაც გაცემულ უნდა იქნეს ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებული სალიცენზიო ბიუროს მიერ.

შენიშვნა: თავისუფალი ჯგუფისათვის მიკუთვნებული საქონლის ექსპორტი სწარმოებს თვინიერ ყოველგვარი ნებადართვისა.

4. განთავისუფლებულ იქნეს ლიცენზიისაგან ყოველი საექსპორტო-საიმპორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტო ოპერაცია,—რაც წარმოებული იქნება დამტკიცებული სახელმწიფო საიმპორტო-საექსპორტო გეგმის წესისამებრ და ლიცენზია შეიცვალოს ცალკე მოწმობებად.

5. საქონლის შემოსატანად და გასატანად მიცემული ნებართვისთვის (ლიცენზიისათვის) კრძო ორგანიზაციასა და პირს უნდა გადაჰხდეს სახელმწიფოს სასარგებლოდ,—გარდა დაწესებული საბაჟო გამოსაღებისა და გადასახადისა,—სალიცენზიო გამოსაღები საქონლის ღირებულების 2% -ს რაოდენობით, თანახმად დებულებისა, რომელსაც დაადგენს ამიერკავკასიის სოკ. ფედ. საბჭ. რესპ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი.

შენიშვნა. სპარსული ხალიჩების საზღვარგარეთ გატანისათვის სალიცენზიო გამოსაღებად,—2% -ს მაგიერ, დაწესებულ იქნეს ექვსი მანეთი ოქროთი თითო ფუთზე.

6. განთავისუფლებულ იქნეს სალიცენზიო გამოსაღებისაგან ყოველი საქონელი, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს, ცენტრალური კავშირის ამიერკავკასიის საოლქო განყოფილების შედგენილობაში შემავალ კოოპერატივთა შენაერთს, და აგრეთვე შერეულ საზოგადოებას, რომელსაც მინიჭებული აქვს სახელმწიფო ორგანიზაციის შეღავათი.

შენიშვნა. საქონელი, რომლისათვისაც სალიცენზიო გამოსაღები გადახდილი არ არის და რომელიც ამიერკავკასიის სოკ. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის პორტებში მოზიდული იქნება,—უკეთუ მას, საბაჟოდან გამოშვებამდე,—შეიძენს ამა მუხლში აღნიშნული დაწესებულება და ორგანიზაცია,—განთავისუფლდეს სალიცენზიო გამოსაღებისაგან.

7. მიეცეს ამიერკავკასიის სოკ. ფედ. საბჭ. რესპ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს უფლება გაანთავისუფლოს ხოლმე სალიცენზიო გამოსაღებისაგან განსაკუთრებული ხასიათის საიმპორტო საქონელი, რაც საჭირო იქნება ამიერკავკასიისათვის და რის საჭიროებასაც საბჭოთა წარმოება ვერ დაჰფარავს.

შენიშვნა. ამ საქონელთა სიას დაადგენს ამიერკავკასიის სოკ. ფედ. საბჭ. რესპ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი.

8. დაეკალოს სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს—თავიანთი საექსპორტო—საიმპორტო ოპერაციები საზღვარგარეთ გაატარონ ხოლმე ამიერკავკასიის სოკ. ფედ. საბჭ. რესპ. სავაჭრო წარმომადგენელთა საერთო კონტროლით.

9. ამა დეკრეტის 1-ლი და მე-2 მუხ. არ შეეხება საბაჟო წესებით შემოსატანად და გასატანად აკრძალულ საქონელს.

10. უფლება მიეცეს ამიერკავკასიის სოკ. ფედ. საბჭ. რესპ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ამა დეკრეტის განსამარტებლად გამოსცეს ხოლმე ინსტრუქცია, ცირკულიარი და ბრძანება.

11. ამა დეკრეტის გამოცემისთანავე გაუქმებულ იქნეს ამიერკავკასიის სოკ. ფედ. საკავშირო რესპუბლიკის საკავშირო საბჭოს დადგენილება: 1922 წ. ოქტომბრის 11-ს თარიღითა და 42 №-რით, ოქტომბრის 16-ს თარიღითა და

48 №-რით, დეკემბრის 19-ს თარიღითა და 62 №-რით და აგრეთვე ყოველი დადგენილება, ამა დადგენილებათა განსაკუთარებლად და დამატებად გამოცემული.

12. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. აპრილის 11-ს თარიღის 80 №-ში.

დეკრეტი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. აპრილის 2.

66. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის შესახებ, რაც უნდა ჩაირიცხოს საერთო-სახელმწიფოებრივ, სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ ბიუჯეტში.

კარი I

ხარჯი, რომელიც გაღებულ უნდა იქნეს საერთო-სახელმფიფოებრივი (ფედერატიული), სახელმწიფოებრივი (რესპუბლიკანური) და ადგილობრივი სახსარით.

I

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. საერთო-სახელმწიფოებრივ სახსარს მიეთვისება ყოველი ხარჯი:

1. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, სახალხო კომისართა საბჭოსი და უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.
2. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.
3. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისა.
4. სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატისა.
5. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.
6. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა.
7. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატისა.
8. სასურსათო სახალხო კომისარიატისა.
9. შრომის სახალხო კომისარიატისა.
10. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკასთან არსებული სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსი.
11. ამიერკავკასიის საგანგებო კომისიისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი ცალკე რესპუბლიკების სახელმწიფო სახსარს მიეთვისება:

1. ყოველი ხარჯი მათი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, სახალხო კომისართა საბჭოსი და ეკონომიური საბჭოსი.

2. ხარჯი სახალხო კომისარიატებისა: შინაგან საქმეთა, განათლებისა, მიწათმოქმედებისა, ჯანმრთელობისა, იუსტიციისა და სოციალური უზრუნველყოფის, გარდა იმ ხარჯისა, რაც ადგილობრივი ორგანოების სახსარს მიეთვისება.

3. ყოველი ხარჯი ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსი.

III

ადგილობრივ სახსარს მიეთვისება ხარჯი:

1. ადგილობრივი საბჭოთა დაწესებულებების შესანახად; 2., კომუნალური მეურნეობისა; 3., სახალხო განათლებისა; 4., სახალხო ჯანმრთელობისა; 5., იუსტიციისა; 6., სოციალური უზრუნველყოფისა; 7., სოფლის მეურნეობისა; 8., ადგილობრივი ტრანსპორტისა და 9., ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობისა, სახელდობრ:

1., საგანს იმ ხარჯებისას, რომელიც მიეთვისება ადგილობრივ სახსარს სამმართველობო საქმისათვის, შეადგენს:

ა., მაზრისა და ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტებისა და მათი განყოფილებების შენახვა;

ბ., თემისა, რაიონისა და ნაწილის აღმასრულებელი კომიტეტების შენახვა-

გ., სოფლის საბჭოთა შენახვა;

დ., ტფილისისა, ბაქოსა და ბათუმის მუშათა და გლეხთა მილიციის შენახვა იმ ნორმებითა და შტატებით, რაც დადგენილია,—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით,—სათანადო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა კომისარიატის მიერ ამა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დასტურით;

ე., შენახვა გამასწორებელი დაწესებულებისა, გარდა სახელმწიფო ბიუჯეტზე დატოვებულისა თანახმად განსაკუთრებული ნუსხის, რომელიც დადგენილ უნდა იქნეს,—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით,—სათანადო რესპუბლიკის შესაფერი სახალხო კომისარიატის მიერ ამა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დასტურით;

2. საგანს იმ ხარჯებისას, რაც ადგილობრივ სახსარს დაეკისრება კომუნალური მეურნეობისათვის, შეადგენს:

ა., კომუნალური მეურნეობის ორგანოების შენახვა;

ბ., კომუნალური მეურნეობის შენობების აგება, შენახვა და შეკეთება;

გ., დასახლებული პუნქტების გარეგანი მოწყობილობის ხარჯი;

დ., კომუნალური საწარმოს და მეურნეობის შენახვა

ე., სანიტარული პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა მისაღწევად გაწეული ხარჯი და სანიტარული ზედამხედველობის შესანახი ხარჯი;

ვ., დასახლებული ადგილების ცეცხლისაგან უზრუნველყოფისათვის გაწეული ხარჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ., გზებისა და საგზაო ნაგებობათა შენახვა: 1., სოფლისა და მინდვრის გზების გაყვანა და შენახვა და მათი ნაგებობის შენახვა; 2., ადგილობრივი მნიშვნელობის ნიადაგიანი გზებისა და გზატკეცილების გაყვანა და შენახვა: 3., მდინარის გადასასვლელის მოწყობა და შენახვა სამდინარეო ნავეურჭლითა, ბორანითა და ნავითა.

3. საგანს იმ ხარჯებისას, რაც ადგილობრივ სახსარს დაეკისრება სახალხო განათლების საქმისათვის, შეადგენს:

ა., პროფესიონალურ-ტექნიკური განათლებისათვის: ორგანიზაცია, მოწყობილობა და შენახვა:

ა., სხვადასხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო სკოლისა, გარდა მისი პედაგოგიური პერსონალისა;

ბ., სკოლის გარეშე პროფესიონალურ-ტექნიკური განათლებისა, გარდა პედაგოგიური პერსონალისა.

გ. ადგილობრივი მნიშვნელობის სხვადასხვა კურსებისა.

დ., ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო-სამრეწველო სასწავლებელისა.

ბ., *სოციალური* აღზრდისათვის: ორგანიზაცია, მოწყობილობა და შენახვა: 1., საბავშვო სახლებისა და ბავშვთა სახლისა, გარდა საამისო დარგის საჭვენებელი დაწესებულებისა, განსაკუთრებული ნუსხით, რაც დადგენილ უნდა იქნეს,—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით,—სათანადო რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის მიერ ამა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დასტურით; 2., სკოლა-კლუბისა წარმოებაში მომუშავე მოზარდთათვის; 3., 1 და 2 საფეხურის სკოლისა, გარდა მისი პედაგოგიური პერსონალის შრომის გასამჯელოსი; 4., საბავშვო ბაღებისა, მოედნებისა, კერისა და კოლონიისა.

გ., საკულტურო-საგანმანათლებლო დაწესებულებათათვის და საამისო ღონისძიებათათვის: ორგანიზაცია, მოწყობილობა და შენახვა:

ა., ადგილობრივი მუზეუმისა, არქივისა და ადგილობრივი მნიშვნელობის სურათების გალერეისა;

ბ., სასწავლო დაწესებულებისა, გარდა იმ განსაკუთრებულ ნუსხაში ჩამოთვლილისა, რაც შედგენილ უნდა იქნეს,—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით,—სათანადო რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის მიერ ამა რესპუბლიკისაც სახალხო კომისართა საბჭოს დასტურით.

გ., სახალხო სახლისა, კლუბისა, ქოხ-საკითხველოსი, ადგილობრივი ბიბლიოთეკისა, სკოლისა და საღამოს კურსებისა მოზრდილთათვის;

დ., ფოტო-კინოს დაწესებულებისა;

ე., წაკითხვისა, საუბარისა, გამოფენისა და ექსკურსიისა;

ზ., თეატრისა, სანახაობისა და სტუდიისა, გარდა სახელმწიფო ხარჯზე მიღებულისა განსაკუთრებული სიით, რაც შედგენილ უნდა იქნეს,—

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით,—სათანადო რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის მიერ—ამავე რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დასტურით.

თ. მუსიკალური განათლებისა, მსახველი ხელოვნებისა და ლიტერატურული შემოქმედობის დაწესებულებისა და საამისო ლონისძიებათა, გარდა საამისო დარგის დაწესებულებისა და ღონისძიებათა, რაც მიღებულია სახელმწიფო სახსარზე განსაკუთრებული ნუსხით, რომელიც შედგენილ უნდა იქნეს,—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით,—სათანადო რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის მიერ—ამავე რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დასტურით.

4. საგანს იმ ხარჯებისას, რაც ადგილმპრივ სახსარს დაეკისრება სახალხო ჯანმრთელობის სფეროში, შედგენს:

ა. 1., ორგანიზაცია, მოწყობილობა და შენახვა სამკურნალო დაწესებულებათა, გარდა იმ ხარჯებისა, რაც გაწეულ უნდა იქნეს სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე სამკურნალო დაწესებულებაზე თანახმად განსაკუთრებული ნუსხისა, რომელიც შედგენილ იქნება,—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, სათანადო რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ ამავე რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დასტურით; 2., სამკურნალო დაწესებულებაზე, რომელიც ესამსახურება დასჯა-გასწორების დაწესებულებათ; 3., სანიტარულ ხელშეწყობაზე გზებისა და საიზოლაციო—გამშვები პუნქტებისათვის; 4., საევაკუაციო ხასიათის სამკურნალო დაწესებულებაზე; 5., ვენერიულ ავადმყოფობასთან და ჭლექთან მებრძოლ დაწესებულებასა და დისპანსერზე თანახმად განსაკუთრებული ნუსხისა, რაც შედგენილ იქნება,—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით,—სათანადო რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ—იმავე რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დასტურით.

ბ. ორგანიზაცია, მოწყობილობა და შენახვა ადგილმპრივი მნიშვნელობის კურორტებისა, აგრეთვე საჯანმრთელო დაწესებულებისა, დასვენების სახლისა და სხვა ამისთანავე დაწესებულებისა, გარდა ამავე სახის დაწესებულებისა, რომელიც დატოვებულია სახელმწიფო ბიუჯეტზე განსაკუთრებული ნუსხით, რაც შედგენილ იქნება,—ამიერკავკასიის სოც ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით,—. სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის მიერ—ამავე რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დასტურით.

გ. დაცვა დედობის და ბავშობისა და ბავშვთა ჯანმრთელობისა, გარდა იმ ხარჯებისა, რაც გაწეულ უნდა იქნეს საამისო სახელმწიფო მნიშვნელობის მაჩვენებელ დაწესებულებებზე თანახმად განსაკუთრებული ნუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხისა, რომელიც შედგენილ უნდა იქნეს,—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით,—სათანადო რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ,—ამავე რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დასტურით.

დ. სასანიტარო-საგანმანათლებლო ღონისძიებანი ადგილობრივი მნიშვნელობისა;

ე. ავადმყოფებისათვის შინაგანი ტრანსპორტი.

5., იუსტიციისათვის: ორგანიზაცია, მოწყობილობა და შენახვა სახალხო სასამართლოებისა.

6., საგანს ხარჯებისას, რაც დაკისრებულია ადგილობრივ სახსარზე სოციალური უზრუნველყოფის სფეროში, შეადგენს:

ა. შენახვა სოციალური უზრუნველყოფის საინვალიდო დაწესებულებისა, გარდა იმ ხარჯებისა, რაც გაწეული უნდა იქნეს სახელმწიფო მნიშვნელობის საამისო მაჩვენებელ დაწესებულებაზე, თანახმად განსაკუთრებული ნუსხისა, რომელიც შედგენილ უნდა იქნეს,—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით,—სათანადო რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ,—ამავე რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დასტურით.

ბ. ადგილობრივი მნიშვნელობის საინვალიდო შენაერთისათვის სუბსიდიის გაწევა.

გ. ინვალიდთა სწავლება.

დ. ბრძოლა ადგილობრივი მასშტაბით—მათხოვრობასა და პროსტიტუციასთან.

ე. ქალაქებში სასურსათო დახმარების ადგილობრივი ორგანოსათვის ფინანსიურად ხელშეწყობა.

ვ. მაზრის შიგნით ინვალიდების გადაყვან-გადმოყვანა.

ზ. პენსიის და დახმარების მიცემა იმ პირთათვის, რომელნიც სოციალურ დაზღვევას არ ექვემდებარებიან.

თ. სოფლად საურთიერთო დახმარების კომიტეტის ორგანიზაცია და სუბსიდიის მიცემა.

ი. ადგილობრივი მოსახლეობისათვის შრომის სახით სასოფლო-სამეურნეო დახმარების გაწევა.

7., საგანს ხარჯებისას, რაც მიეთვისება ადგილობრივ სახსარს სასოფლო-სამეურნეო სფეროში, შეადგენს:

ა. შენახვა ადგილობრივი საადგილმამულო კომისიისა.

ბ. ადგილობრივი მნიშვნელობის მიწათმოწყობა.

გ. ორგანიზაცია, მოწყობილობა და შენახვა საცდელ-საჩვენებელი მინდვრისა, საქონლის საგრილებელი პუნქტისა, სანერგესი, სანაშენოსი, საფუტკრესი, შრომითი მეურნეობისა და სხვ. ადგილობრივი მეურნეობის აგრო-კულტურის სანიმუშო საშუალებისა.

ტ ფ ი ლ ი ს ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ჰიდრო-ტექნიკური, დაშრობისა და სარუსხმულე მუშაობა და ყოველ-გვარი მელიორატიული ღონისძიება, რასაც სახელმწიფო მნიშვნელობა არა აქვს და მიმართულია ადგილობრივი მიწათსარგებლობის გაუმჯობესებად (დაშრობა ჭაობისა, მინდვრებისა, ველისა, გამაგრება ქვიშნარისა და ღელეებისა, ჯებირის გაკეთება და სხვ.)

ე. ორგანიზაცია, მოწყობილობა და შენახვა ადგილობრივი მნიშვნელობის სამეჯდურისა და სახელოსნოსი სასოფლო სამეურნეო იარაღის შესაკეთებლად.

ვ. ორგანიზაცია, მოწყობილობა და შენახვა გამქირავებელი პუნქტისა, მარცვლეულობის გადასარჩენი სადგურისა, თესლეულისა და სასოფლო მეურნეობის მანქნებისა და იარაღის საწყობისა, რომელსაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა არა აქვს.

ზ. ბრძოლა სასოფლო მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ, გარდა ისეთი საამისო ღონისძიებისა, რასაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

თ. შენახვა საეტერინარო-სამკურნალო დაწესებულებისა და სხვ. ხარჯი საეტერინარო-სანიტარული ნაწილისათვის, რასაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა არ აქვს.

ი. ორგანიზაცია, მოწყობილობა და შენახვა აგრონომიული პუნქტისა, გარდა ამ პუნქტთან არსებული საagronomio-ტექნიკური პერსონალის შენახვისა.

კ. შენახვა ადგილობრივი მნიშვნელობის საპროთა მეურნეობისა, რომელიც შეტანილი არ არის სახელმწიფო შენაერთთა სისტემაში.

8. საგანს იმ ხარჯებისას, რაც დაკისრებულია ადგილობრივ სახსარზე ადგილობრივი ტრანსპორტის სფეროში, შეადგენს შენახვა ადგილობრივი მნიშვნელობის ნავთსადგურისა, ადგილობრივი ნავოსნობისა და სხვ.

9. საგანს იმ ხარჯებისას, რაც დაკისრებულია ადგილობრივ სახსარზე ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობის სფეროში. შეადგენს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტისათვის საეესლოტაციოდ გადაცემული სამრეწველო, სავაჭრო, საკომისიო, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო და სხვ. საწარმოს შენახვა.

10. წინა მუხლებში (1—9) აღნიშნულ ხარჯებ შორის პირველ რიგში და უკლებლივ, — თანახმად თვითეული მახრისა და ქალაქისათვის დადგენილი ნორმისა, და შტატისა, — დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს ხარჯი: ა., ადგილობრივი საპროსი და აღმასრულებელი კომიტეტის შესანახად; ბ., I-ლი და II საფეხურის სკოლის შესანახად; გ., სამკურნალო დაწესებულების შესანახად; დ., სახალხო სასამართლოს შესანახად და ე., მილიციის შესანახად.

11. დანარჩენი, ამა დეკრეტის 1—9 მუხლ. ადგილობრივ სახსარზე დაკისრებული, ხარჯი, — გარდა წინა (10) მუხლში აღნიშნული ხარჯებისა, — დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს ქონებულ რესურსის ფარგლებში, იმ წესით და იმ რაოდენობით, რაც დადგენილ იქნება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ — კუთვნილებისამებრ თვითეული საბიუჯეტო პერიოდისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. სხვა რაიმე, ამა დეკრეტით გაუთვალისწინებელი, ადგილობრივი ხარჯის გაწევა ადგილობრივი სახსარიდან შეიძლება მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც სრულიად დაკმაყოფილებული იქნება ზემოხსენებული საჭიროება და ისიც მარტოოდენ ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს და ამიერკავკასიის აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებული ნებართვით.

13. ამა დეკრეტის 1—9 მუხ. მუხ. გათვალისწინებული, რომელიმე დაწესებულებისა და საწარმოს შესანახ ხარჯად იგულისხმება: აგება ამა დაწესებულებისათვის შენობისა, აგრეთვე დაქირაკება და შეკეთება შენობისა, განათება, გათბობა, კანალიზაცია და სხვადასხვა სამეურნეო, საკანცელარიო და ფოსტა-ტელეგრაფის ხარჯი, საგზაო სარგო, ყოველგვარი სახის სამუშაო ხელფასი, სოციალური დაზღვევა და აგრეთვე სპეციალური და საერთო მოწყობილობა და საჭირო მასალების შეძენა.

კ ა რ ი II.

საერთო-სახელმწიფოებრივი (ფედერატიული) სახელმწიფოებრივი (რესპუბლიკანური) და ადგილობრივი შემოსავლისა, გადასახადისა და გამოსაღების შესახებ.

I.

საერთო-სახელმწიფოებრივ (ფედერატიულ) შემოსავალში ჩაირიცხება:

1. ნატურალური გადასახადი და ყველა სასურსათო დატაცია, აგრეთვე მისი რეალიზაციის შემოსავალი.
2. არაპირდაპირი გადასახადი.
3. საბაჟო შემოსავალი.
4. სამიზნო გადასახადი ფედერატიული მნიშვნელობისა.
5. სხვადასხვა სახელწოდების ბაჟი, გარდა სასამართლოსი.
6. ბაჟი საუცხოეთო პასპორტისა და ვიზის მიცემისათვის.
7. საღერბო გამოსაღები.
8. სავალიუტო და სასაქონლო ლიცენზია.
9. ტრანსპორტისა და მანძილით შეერთების შემოსავალი.
10. გაერთიანებულ სახალხო კომისარიატების სხვადასხვა შემოსავალი.
11. შინაგანი და საგარეო ვაჭრობის შემოსავალი.
12. სახელმწიფო ხარჯის ანაზღაურება, დაბრუნება სესხისა და სხვა ხარჯებისა, გარდა სასამართლოს ხარჯის ანაზღაურებისა.
13. შემოსავალიანი სალდო სახელმწიფო ტრესტისა, სინდიკატისა და სხვა შეგაერთისა საერთო-ფედერატიული მასშტაბით და %% მათთვის მიცემული თანხებისა და ფონდებისა.

II.

სახელმწიფოებრივი (რესპუბლიკანური) შემოსავლისა, გადასახადისა და გამოსაღების შესაგებ.

ა., შემოსავალი

შემოსავალი არაგადასახადის ხასიათისა.

1., შემოსავალი არაგაერთიანებული სახალხო კომისარიატებისა: ა., მიწათმოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედების სახალხო კომისარიატისაბ., ბ., ჯანმრთელობის სახ. კომისარიატისა, გ., სუსტიციის სახ. კომისარიატისა, დ., შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატისა, ე., განათლების სახ. კომისარიატისა და ვ., სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატისა და აგრეთვე ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსი.

II., შემოსავლიანი სალდო სახელმწიფო ტრესტებისა, სინდიკატებისა და სხვ. შენაერთებისა რესპუბლიკანური მასშტაბით და პროცენტი რესპუბლიკების მიერ თავიანთი სახსარიდან მათთვის გადაცემული თანხებისა და ფონდებისა; აგრეთვე შემოსავლიანი სალდო სამეურნეო ანგარიშზე გადასული სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოსი.

III., სახელმწიფო და სახალხო ბანკების მოგება.

1., სამრეწველო გადასახადი (ძირითადი, დამატებითი და დანართი), რაც გადახდევინებულ უნდა იქნეს თანახმად დებულებისა ამა გადასახადის შესახებ.

2. საშემოსაელო-საქონლო გიდასახადი, რაც გადახდევინებულ უნდა იქნეს თანახმად დებულებისა ამა გადასახადის შესახებ.

3. შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის გადასახადი, რაც გადახდევინებულ უნდა იქნეს თანახმად დებულებისა ამა გადასახადის შესახებ.

4., საერთო-სამოქალაქო გადასახადი, რაც გადახდევინებულ უნდა იქნეს თანახმად დებულებისა ამა გადასახადის შესახებ.

5. სასამართლო ბაჟი და საკანცელარიო გამოსაღები.

III.

ადგილობრივი შემოსავალი.

1. მაზრისა და ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტების ადგილობრივ სახსარს მიეთვისება შემდეგი წყაროს შემოსავალი:

ა., საერთო საოგებლობის კომუნალური საწარმოსი.

ბ., დაწესებულებისა, საწარმოსი და საამისო ღონისძიებისა, რომელთა შენახვა და განხორციელება მიეთვისება ადგილობრივ სახსარს.

გ., საექსპლოატაციო და საჯარო შემოსავალი სამრეწველო, სავაჭრო, საკომისიო, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო და სხვ. საწარმოსი, რომლის შენახვა არა აქვს დაკისრებული საერთო-სახელმწიფოებრივ ან რესპუბლიკანურ ბიუჯეტს და რომელიც არ შედის სამეურნეო ანგარიშზე გადასულ სახელმწიფო შენაერთთა სისტემაში.

დ., ადგილობრივი ქონებისა და სახელმწიფო საიჯარო ნაკვეთისა, რაც სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის სრულ და უმეშვეო გამგებლობაშია, როგორიც არის, მაგალითად: საქალაქო მიწა, სათვეზაო ადგილი და სხ.

ე. ჯარიმისა, რომელსაც დაადებს ადმინისტრატიული წესით აღმასრულებელი კომიტეტი.

2. წინა მუხლში აღნიშნული შემოსავლის გარდა, ადგილობრივ სახსარს მიეთვისება ანარიცხი შემდეგი სახელმწიფო ფულადი და ნატურალური გადასახადისა და სახელმწიფო შემოსავლისა.

ა., სახელმწიფო სამრეწველო გადასახადისა — შემოსული თანხის 25% რაოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ., სახელმწიფო შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის გადასახადი ფულადი შემოსავლის 50% რაოდენობით და ნატურალურისა 50% რაოდენობით.

გ. სახელმწიფო საშემოსავლო-საქონიბო გადასახადისა—შემოსული თანხის 50% რაოდენობით.

დ., ტყის შემოსავლისა—ყველა შემოსული თანხის 25% რაოდენობით.

ე., ერთდროული საერთო-სამოქალაქო გადასახადისა სპეციალური საჭიროებისათვის იმ რაოდენობით, რაც გათვალისწინებულ იქნება თვითეული შემთხვევისათვის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით.

3., წინა მუხლში აღნიშნული ანარიცხის დამატებად ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ,—სათანადო რესპუბლიკანური ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ნებადართვით,—შეიძლება დაწესებულ იქნეს შემდეგი სახელმწიფო გადასახადისა და გამოსაღების ზედნართი:

ა., სახელმწიფო სამრეწველო გადასახადზე—არა უმეტეს როგორც ძირითადი ისე დამატებითი სამრეწველო მოწმობის ფასის 100%-სა ფუფუნების საგანთა წარმოებისა და ვაჭრობისათვის და არა უმეტეს დამატებითი გამოსაღების შენაწერის 25%-სა.

ბ., სასმელებისა და თამბაქოს ნაკეთობის გაყიდვისათვის მიცემული პატენტის ფასზე—არა უმეტეს ამა საგანთა გაყიდვისათვის დაწესებული პატენტის სახელმწიფო ფასის 100%-სა.

გ., სასამართლო ბაჟზე—არა უმეტეს 100% რაოდენობისა.

დ., სანოტარო ორგანოების მიერ ქმნილი და შემოწმებული გარიგებისა, ხელშეკრულებისა და სხვ. აქტის სახელმწიფო სასყიდელზე—ამა სასყიდლის არა უმეტეს 100%-სა.

4., წინა მუხლში (3—პ. 3. ა და ბ) აღნიშნული ზედნართი სახელმწიფო პატენტისა და სამრეწველო მოწმობის ფასისა გადახდევინებულ უნდა იქნეს ამა პატენტისა და მოწმობის გამცემი დაწესებულების მიერ მათი სახელმწიფო ღირებულებისაგან განუყოფლად. იმავე მუხლში (3—პ. ა) აღნიშნული დამატებითი გამოსაღების შენაწერის ზედნართი შეტანილ უნდა იქნეს სათანადო საფინანსო ინსპექტორის მიერ დამატებითი გამოსაღების საშენაწერო დავთარში და გადამხდელს უნდა გადაჰხდეს აღნიშნულ გამოსაღების შენაწერის გადახდევინებასთან ერთად.

5., მე-3 მუხ. აღნიშნული (პ. პ. გ და დ) სასამართლო ბაჟისა ზედნართი და გარიგებისა, ხელშეკრულებისა, ასლისა, წანაწერისა და სხვ. აქტების ქმნისა და შემოწმების სასყიდლის ზედნართი გადხდევინებულ უნდა იქნეს იუსტიციის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოს მიერ სასამართლო ბაჟის და სახელმწიფო სასყიდელისაგან განუყოფელად და შეტანილ უნდა იქნეს დადგენილ ვადაზე ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროში (ხაზინა ან საფინანსო განყოფილება) სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის ადგილობრივ სახსარში ჩასარიცხად.

6. ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება ეძლევათ თავიანთი ადგილობრივი სახსარის გასაძლიერებლად შემოიღონ შემდეგი გადასახადი და გამოსაღები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის დასახლებულ ადგილას.

1. გადასახადი, როგორც კერძო პირისა, საზოგადოებისა, საწარმოსი, ისე მთავრობის დაწესებულებისა და საწარმოს სარგებლობაში და მფლობელობაში ქონებული შენობისა—რაოდენობით არა უმეტეს საერთო შემოსავლის 5%-სა ან შენობის ღირებულების 1%-სა წლიურად.

შენიშვნა. გადასახადისგან განთავისუფლებულ უნდა იქნეს:

ა. ჯარის ნაწილისა და აღრიცხვის წესისამებრ საერთო-სახელმწიფოებრივი ბიუჯეტით ფინანსიურად უზრუნველყოფილი მთავრობის დაწესებულების სარგებლობაში და მფლობელობაში ქონებული შენობა; შენობა ან მისი ნაწილი, რომელიც უმეშვეოდ ჯარის ნაწილს ან სამხედრო დაწესებულებას უჭირავს, ან და დანიშნულია მარტოოდენ მათთვის გამოსაყენებლად.

ბ. შენობა ან მისი ნაწილი, რომელიც უჭირავს უცხოეთის დიპლომატიურ დაწესებულებას ან პირობით-კი, რომ უწყებული სახელმწიფო—ურთიერთობის საფუძველზე—მოუთვისებს საბჭოთა რესპუბლიკის კავშირის სათანადო დაწესებულებას იმავე უფლებას საზღვარგარეთ,—გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატთან წინასწარი შეთანხმებისამებრ.

გ. შენობა ან მისი ნაწილი, რომელიც შემოსავალს არ იძლევა და რომელიც დაჭერილი აქვს შრომის სასახლეს, პროფესიონალურ კავშირს და მუშათა ორგანიზაციების კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებას.

დ. შენობა, რომელიც ექსპლოტაციისათვის უვარგისია სიძველის გამო—გადაკეთებისა და კაპიტალურად შეკეთების დროს, აგრეთვე ახლად აგებული შენობა ორი წლის განმავლობაში შენობის დასრულებიდან.

2. საბინაო გადასახადი, რომელიც გადახდევინებულ უნდა იქნეს თანახმად დებულებისა ამა გადასახადის შესახებ.

3. გადასახადი ქონებაზე, მფლობელობაზე, ნაგებობაზე და შენობაზე, რომელიც განსაკუთრებულ სარგებლობას მიიღებს ახლად განხორციელებული ხანგრძლივი მნიშვნელობის საჯარო ღონისძიებისაგან (ახალი ქუჩების გაყვანა, ან ძველი ქუჩების კაპიტალურად გადაკეთება, ახალი ტროტუარისა და ქვაფენილის გაკეთება ან ძველი ტროტუარის და ქვაფენილის კაპიტალურად გადაკეთება, წყალსადენისა, კანალიზაციისა და სხვ. ამგვ. რამის მოწყობა),—ვის მფლობელობაშიაც და სარგებლობაშიაც უნდა იყოს ეს ქონება, გარდა იმ გამონაკლისისა, რაც აღნიშნულია ამა დადგენილების მე-II კარის მე-III თავის მე-6 მუხ. I პუნქ. შენიშვნის ლიტ. ა; ამასთანავე გამოსაღების რაოდენობა დამტკიცებულ უნდა იქნეს თვითეულ ცალკე შემთხვევაში სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

4. გადასახადი სამრეწველო ბაღზე და ბოსტანზე, რაც გადახდევინებულ უნდა იქნეს თანახმად დებულებისა ამა გადასახადის შესახებ.

5. გადასახადი სავაჭრო ადგილზე, სადაც ადგილობრივ მოიხმარება ყოველგვარი საქმელ-სასმელი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა., არა უმეტეს, როგორც გამოტანილი სარეწავი მოწმობის ფასის 100%-სა, ისე ფუფუნების საგნების გაყიდვისათვის გადასახდელი დამატებითი გამოსაღების 100%-სა.

ბ., არა უმეტეს დამატებითი სარეწავი გადასახადის 25%-სა (სა-%%-ო გამოსაღებისა).

6. საეტლე მრეწველობის გადასახადი—არა უმეტეს 1.5000.000 მან რაოდენობისა—თვითეულ საეტლედ მომუშავე ცხენზე ან სხვა პირუტყვზე სეზონში.

შენიშვნა. სეზონი არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს; ამასთანავე სეზონის დაწყებისა და დამთავრების ვადას დაადგენს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი ადგილობრივი პირობების მიხედვით.

7. გადაზიდვის მრეწველობის გადასახადი—არა უმეტეს საიჯარო სასყიდლის 10%-სა ან საერთო შემოსავლის 25%-სა, როცა ექსპლოატაცია სამეურნეო საშუალებით სწარმოებს.

8. გადასახადი სამატარებლო ცხენზე და ეკიპაჟზე, რომელიც ეკუთვნის როგორც კერძო პირს, საზოგადოებას, საწარმოს, ისე მთავრობის დაწესებულებას და საწარმოს—არა უმეტეს 3.000.000 მან. თვითეულ ცხენზე და თვითეულ ეკიპაჟზე ნახევარწლიმით.

შენიშვნა. გადასახადისაგან განთავისუფლდება: საშტატო და სატაბელო ქონება სამხედრო და საზღვაო უწყების ჯარის ნაწილებისა, დაწესებულებისა, სამმართველოსი, რომელიც სახელმწიფო მომარაგებაზეა და აგრეთვე საშტატო და სატაბელო ქონება სამხედრო-სასანიტარო და სამხედრო-საველტერინარო უწყებისა.

9., გადასახადი ველოსიპედზე, თვითმმოძრავ ეკიპაჟზე, იახტაზე და მოტორიან ნავზე, რომელიც ეკუთვნის როგორც კერძო პირს, საზოგადოებას და საწარმოს, ისე საერთო-სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ მთავრობის დაწესებულებას და საწარმოს,—არა უმეტეს 500.000 მან. ველოსიპედზე, 4.000.000 მან.—ნახევარწლის განმავლობაში—იახტაზე და 500.000 მან. თვითეულ ძალაზე მგზავრების გადაყვან თვითმმოძრავი ეკიპაჟისა და მოტორიანი ნავეტრკლისათვის, ხოლო 200.000 მან. თვითოული ძალაზე—ნახევარწლის განმავლობაში—ტვირთ მზიდველისათვის.

10. ერთჯერობითი გამოსაღები მოძრავი ვაჭრობის უფლებისა იმ პირისათვის, რომელიც აწარმოებს სახელმწიფო სარეწავი გადასახადით დაბეგვრისაგან გამონაკლ ტარებითი და ზიდვითი ვაჭრობას,—დღიური რაოდენობით:

ა., ტარებითი ვაჭრობისათვის (თაბახი, კალათა, ჭურჭელი ან პირდაპირ ხელზე)—არა უმეტეს იმ დგილის პირველი კატეგორიის სავაჭრო საწარმოს ნახევარწლის სარეწავი მოწმობის სახელმწიფო ფასის 2%-სა.

ბ., ზიდვითი ვაჭრობისათვის (ურემი, ტელეჟკა და სხვ. ამისთ. რამ.)—არა უმეტეს იმ ადგილის მე-2 კატეგორიის სავაჭრო საწარმოს ნახევარწლის სარეწავი მოწმობის სახელმწიფო ფასის 2%-სა.

11. გამოსაღები ბაზარზე გასაყიდად მორეკილ საქონელზე—არა უმეტეს 200.000 მან. თვითეულ სულ მსხვილფეხა საქონელზე და არა უმეტეს 40.000 მან. თვითეულ სულ წვრილფეხა საქონელზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. გამოსაღები საქონელზე და სხვ. შინაურ პირუტყვზე,—ცხენების გარდა:
ა. მსხვილფეხა რქოსან საქონელზე (ხარი, ძროხა, კამეჩი) და სხვ. გადამზიდავ პირუტყვზე (ვირი, ჯორი, აქლემი, ცხენის გარდა, რაც განსაკუთრებულის წესით დაიბეგვრება),—არა უმეტეს 100.000 მან. თვითეულ სულზე ნახევარწლობით.
ბ., წვრილფეხა საქონელზე—არა უმეტეს 20.000 მან (ცხვარი, თხა, ღორი) და ძაღლზე 20.000 მანეთიდან 100.000 მანეთამდე თითო სულზე ნახევარწლობით.

13. გადასახადი რკინისგზით და წყალსავალი გზით მოზიდულ და გაზიდულ ტვირთზე—არა უმეტეს ხუთჯერ აღებული,—ხოლო შემოზიდული გამგრილებელი და ჰალოჰოლიანი სასმელისათვის 30-ჯერ აღებული,—საფუთო, საცალო, და სავაგონო პირვანდელი ტარიფის განაკვეთის რაოდენობისა—ამ ტვირთის რკინისგზით ერთი ვერსის მანძილზე გადატანისათვის.

შენიშვნა. რკინისგზით და წყალსავალი გზით მოზიდულ და გაზიდულ ტვირთის გადასახადისაგან განთავისუფლდება: ტვირთი, რომელიც გაივლის ამა თუ იმ სადგურს ან ნავთსაყუდარს ტრანზიტით; ტვირთი, სამხედრო, საპატიმრო და საფოსტო; ტვირთი, რომელიც ეკუთვნის რკინისგზას; ტვირთი, რომელიც გადაიზიდება, როგორც ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფასეულო ტვირთი და ტვირთი, რომლის დანიშნულებასაც შეადგენს სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ მოსახლეობის დახმარება.

14. გადასახადი იმ პირისათვის, რომელიც სარგებლობს დაქირავებულ შრომას შინაური საჭიროებისათვის (ოჯახის ხელზე მოსამსახურე)—ერთი მოსამსახურისათვის არა უმეტეს 1.000.000 მან., ხოლო ერთ მოსამსახურეზე მეტისათვის—3.000.000 თვითეული მოსამსახურეზე ნახევარწლობით.

15, გადასახადი საჯარო სანახაობასა და გასართობზე, რომელიც გადახდევინებულ უნდა იქნეს თანახმად დებულებისა ამა გადასახადის შესახებ.

16. გადასახადი პლაკატზე, აფიშაზე და განათებულ რეკლამაზე:
ა. პლაკატისა და აფიშისათვის—არა უმეტეს 5.000 მან. პლაკატის თუ აფიშის თვითეულ კვადრატიულ ეერშოკზე და თვითეულ სრულ თუ არასრულ ათას ცალზე.
ბ. განათებულ რეკლამისათვის—არა უმეტეს 10.000 მან. რეკლამის თვითეულ ვერშოკზე.

შენიშვნა: პლაკატისა და აფიშის გადასახადისაგან განთავისუფლდება:
ა. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებისა და შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის კომისიის განკარგულება და დადგენილება.
ბ. საერთო სარგებლობისათვის გამოფენილი დროებითი გამოცქმანი.
გ. აფიშები იმ წარმოდგენისა, ლექციისა, კონცერტისა და სხვ. შესახებ, რომლის შემოსავალი მთლად სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გადაიდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. სააგიტაციო ხასიათის პლაკატი და აფიშა.

ე. აფიშა უფასო ლექციისა და კრების გამართვის შესახებ.

17. გადასახადი საზოგადოებრივი სასწორის სარგებლობისათვის—არა უმეტეს 5.000 მან. ასაწონი ტვირთის თვითეულ ფუთზე.

18. გადასახადი აქტებზე შენობისა ან აშენების უფლების გასხვისებისათვის—არა უმეტეს სახელმწიფო ბაჟის 100%-სა.

19. გადასახადი მთავარი ქონების საუფლიონო გაყიდვისათვის საუფლიონო დარბაზში და კრძო სადგომში—გაყიდვისაგან შემოსული თანხის 5%, გარდა იმ 2%-სა, რომელიც გადახდევინებულ უნდა იქნეს კომუნალური მეუფლიონის სასარგებლოდ.

20. ჩაწერინების გამოსაღები—არა უმეტეს 20.000 მან. თვითეული ჩაწერისათვის.

21. საკანცელარიო ბაჟი, რაც გადახდევინებულ უნდა იქნეს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის ადგილობრივ სახსარზე მყოფ დაწესებულების მიერ.

22. ყველა სხვა გადასახადი და გამოსაღები დაწესდება ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, თვითეულ ცალკე შემთხვევისათვის,—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის სპეციალური ნებართვით, როგორც შინაარსისა, ისე რაოდენობის შესახებ,—და სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დასტურით.

ქალაქ გარე დასახლებულ ადგილებში.

1. გადასახადი საქარხნო-საფაბრიკო, სავაჭრო და სააგარაკო სადგომებზე—არა უმეტეს საერთო შემოსავლის 5%-სა ან სადგომის ღირებულების 1%-სა წლიურად.

შენიშვნა: ამა მუხ. აღნიშნული გადასახადისაგან განთავისუფლებულ უნდა იქნეს: საქარხნო-საფაბრიკო საავადმყოფოს, ქსენონისა, ამბულატორიისა, სასწავლებლისა, ბიბლიოთეკისა და სხვ. მუშათა და გლეხთა კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულების სადგომი.

2. გადასახადი ქონებაზე, მფლობელობაზე, ნაგებობაზე და შენობაზე, რომელიც განსაკუთრებულ სარგებლობას მიიღებს ახლად განხორციელებული ხანგრძლივი მნიშვნელობის ღონისძიებისაგან (გზატკეცილის გაკეთება, მელიორაცია, ელექტროფიკაცია და სხვ. რამ ამისთ.)—და რომელი გადასახადიც გადახდევინებულ უნდა იქნეს ქალაქის დასახლებულ ადგილებისათვის დაწესებულ საფუძველზე.

3. გადასახადი ტვირთზე, რაც მოზიდული და გაზიდული იქნება იმ სარკინისგზო სადგურზე და ნავთსაყუდელზე, რომელიც ხელს უწყობს მისი მომიჯნავე ქალაქსა, გარეთუბანსა, დაბასა; აგრეთვე ტვირთზე, რაც მოზიდული და გაზიდული იქნება იმ სარკინისგზო სადგურზე და ნავსაყუდელზე, რომელიც აკრავს საქარხნო-საფაბრიკო რაიონს ან ამ რაიონშეიცავ;—გადასახადი გადახდევინებულ უნდა იქნეს ქალაქის დასახლებულ ადგილებისათვის დაწესებულ საფუძველზე.

4. გადასახადი სავაჭრო ადგილებზე, სადაც ადგილობრივ მოიხმარება ყოველგვარი საშემელ-სასმელი იმავე საფუძველზე, რაც დადგენილია ქალაქის დასახლებული ადგილ ისათვის.

საქართველოს სახელმწ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საეტლე მრეწველობის გადასახადი—არა უმეტეს 500.000 მან. სეზონში საეტლედ მომუშავე ცხენზე ან სხვა პორტაჟეზე.

6. გადასახადი საზოგადოებრივი სასწორის სარგებლობისათვის—არა უმეტეს 2.000 მან. ასაწონი ტვირთის თვითეულ ფუთზე.

7. გადაზიდვის მრეწველობის გადასახადი—არა უმეტეს წმინდა შემოსავლის 10%-ს ან საერთო შემოსავლის 2%-სა.

8. გადასახადი ველოსიპედზე, თვითმმძრავ ეკიპაჟზე, იახტაზე მოტორიან ნავზე, რომელიც ეკუთვნის, როგორც კერძო პირს, საზოგადოებას და საწარმოს, ისე მთავრობის დაწესებულებას და საწარმოს, გარდა სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფისა; გადასახადი გადახდევინებულ უნდა იქნეს ქალაქის დასახლებული ადგილისათვის დადგენილ საფუძველზე.

9. გადასახადი სამატარებლო ცხენზე და ეკიპაჟზე, რომელიც ეკუთვნის, როგორც კერძო პირს, საზოგადოებას და საწარმოს, ისე მთავრობის დაწესებულებას და საწარმოს— არა უმეტეს 1.000.000 მან. თვითეულ ცხენზე და 500.000 მან. თვითეულ ეკიპაჟზე—ნახევარწლობით.

შენიშვნა. გადასახადისაგან განთავისუფლებულ უნდა იქნეს: საშტატო და სატაბელო ქონება სამხედრო და საზღვაო უწყების ჯარის ნაწილებისა, დაწესებულებისა, სამმართველოსი, რომელიც სახელმწიფო მომარაგებაზეა და აგრეთვე სტაბელო და საშტატო ქონება სამხედრო-სასანიტარო და სამხედრო-სავეტერინარო უწყებისა.

10. გადასახადი საჯარო სანახაობასა და გასართობზე, რაც გადახდევინებულ უნდა იქნეს ქალაქის დასახლებული ადგილისათვის დადგენილ საფუძველზე.

11. გადასახადი აქტებზე შენობისა და აშენების უფლების გასხვისებისათვის, რაც გადახდევინებულ უნდა იქნეს ქალაქის დასახლებული ადგილისათვის დაწესებულ საფუძველზე.

12. საკანცელარიო ბაჟი, რაც გადახდევინებულ უნდა იქნეს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის ადგილობრივ სახსარზე მყოფ დაწესებულების მიერ.

13. ყველა სხვა გადასახადი და გამოსაღები, რაც ამა დეკრეტით გათვალისწინებული არ არის, შეიძლება დაწესებულ იქნეს არა სხვაგვარად, თუ არა თვითეული შემთხვევისათვის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის სპეციალური ნებადართვით, როგორც შინაარსისა, ისე რაოდენობის შესახებ,—და სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დასტურით.

კ ა რ ი III

1. ნება მიეცეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოსცეს ხოლმე საერთო წესები—ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების დაწესებისა და გადახდევინების შესახებ—და სპეციალური ინსტრუქცია და განკარგულება—თვითეული გადასახადისა და გამოსაღებისათვის.

2. იმ გადასახადისა და გამოსაღების სფეროში, რომლის შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ არ იქნება აღნუსხვისა და გადახდევინების წესები,—ნება მიეცეს ადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობრივ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცეს ხოლმე ასეთი წესები იმ პირობით, რომ ეს წესები,—ცალკე რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ,—წარედგინოს,—იმიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით,—იმიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს.

ძ ა ნ ი IV

1. ყველა განკარგულება და დადგენილება, რაც დღევანდლამდე საკანონმდებლო და საადმინისტრაციო დაწესებულების მიერ გამოცემულ იქნა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში და რაც ეწინააღმდეგება ამა დადგენილებას,—გაუქმებულ იქნეს.

2. დეკრეტი ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1923 წლის აპრილის 1-დან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. აპრილის 12-ს თარიღის 81 №-ში.

დადგენილება № 34 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

67. დროებითი დებულება ბაქოს ბაზრობისათვის.

1923 აპრილის 27.

1. ბაქოს ბაზრობა სახელმწიფო მნიშვნელობის ვაჭრობაა და ჰქმნის პირობებს საბჭოთა და აღმოსავლეთის ბაზრების შორის წესიერი სავაჭრო ურთიერთობის დამყარებისათვის. იგი გაიხსნება ბაზრობის კომიტეტის მიერ დადგენილი წესით.

ვაჭრობა ბაქოს ბაზრობაზე შეუძლიან აწარმოოს სახელმწიფო და კოოპერატიულმა ორგანიზაციამ და საწარმომ, სავაჭრო შენაერთმა და კერძო მოქალაქემ.

2. ბაქოს ბაზრობა გაიხსნება მაისის 20-ს და განგრძობილ იქნება ივნისის 20-დე.

3. ბაქოს ბაზრობის უმაღლესი ხელმძღვანელობა ეკუთვნის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, როგორც საგარეო ვაჭრობის მომწესრიგებულ ორგანოს. ბაზრობის უმეშვეო გამგებლობის ორგანოდ არის ბაქოს ბაზრობის კომიტეტი, რომელიც არჩეულ უნდა იქნეს ვადით 1923 წ. სექტემბრის 1-დე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ამერიკაკაკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, რომელსაც უმაღლესი მეთვალყურეობა აქვს ბაჭოს ბაზრობისათვის, ხელმძღვანელობას უწევს, ბაქოს საბჭოს მეშვეობით, მის ორგანიზაციას და ვაჭრობის მიმდინარეობას.

კერძოდ, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი: ა., განიხილავს და დაამტკიცებს ბაქოს საბჭოს მიერ წარდგენილ აღრიცხვას, აწარმოებს ან გამოითხოვს ამ აღრიცხვის მიხედვით ასიგნობებს; ბ,. განიხილავს ბაზრობის კომიტეტის მოხსენებას ბაქოს ბაზრობის ვაჭრობის წარმატებით განვითარებისა და წესიერად მოწყობის ღონისძიებათა შესახებ, გ., განიხილავს და დამტკიცებს ბაზრობის კომიტეტის ანგარიშს ბაქოს ბაზრობაზე ვაჭრობის მიმდინარეობის შესახებ; და განიხილავს და დაამტკიცებს საბჭოს სალიკვიდაციო ანგარიშს ბაქოს ბაზრობისას.

5. ბაზრობის კომიტეტი შესდგება: თავმჯდომარისა და მისი მოადგილისაგან, რომელთაც დანიშნავს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. საგარეო ვაჭრობის სასალხო კომისარიატი ბაქოს საბჭოსთან შეთანხმებით,—და 13 წევრისაგან, რომელნიც არიან წარმომადგენელნი: ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი, აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპ. ვაჭრობა-მრეწველობის სახალხო კომისარიატისა, ამიერკავკასიის რკინის გზების სამართველოსი, სახელმწიფო ბანკისა, რუსეთის საგარეო ვაჭრობასა, ცენტრალური კავშირის ამიერკავკასიის განყოფილებისა, ბაქოს ბირჟისა—თითო—თითო და სამ-სამი ბაქოს საბჭოსი და ვაჭრებისა, რომელთაც საამისოდ რეგისტრაციი ექნებათ გაკეთებული ბაზრობის კომიტეტის მიერ.

ბაზრობის კომიტეტის სხდომა კანონიერია, უკეთუ მას დაესწრება თავმჯდომარე ან მისი მოადგილე და რვა წევრზე არა ნაკლები.

6. ბაზრობის კომიტეტი აირჩევს პრეზიდიუმს თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა და სამის წევრის შედგენილობით—მიმდინარე საქმეების სახელმძღვანელოდ და იმ საკითხების გადასაწყვეტად, რაც შეადგენს პრეზიდიუმის კომპეტენციას, თანახმად ბაქოს საბჭოს მიერ დამტკიცებული განაწესისა.

7. ბაზრობის კომიტეტის მოქმედების საგანს შეადგენს:

ა. ღონისძიებათა მიღება, რათა ბაზრობამ წარმატებითი განვლოს.

ბ., ბაზრობის ტერიტორიის რიგიანად მოწყობა.

გ. ურთიერთობის დაჭერა ყველა დაწესებულებასთან და პირთან, საქმის მიმდინარეობის მიხედვით საჭირო გარიგებისა და ხელშეკრულების დადება და, საერთოდ, ყველა იურიდიული ხასიათის მოქმედება, სასამართლოში მომჩივნად და მოპასუხედ გამოსვლა.

8. მე-7 მუხლში აღნიშნულ საგანთა განსახორციელებლად ბაზრობის კომიტეტი:

ა., მიმართავს ყველა სათანადო სახელმწიფო ორგანოს ბაქოს ბაზრობის ვაჭრობის საჭიროებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. არსებული კანონების თანახმად შეიმუშავებს და გამოსცემს სავალდებულო დადგენილებათ ვაჭრობის შესახებ, რომელი დადგენილებანიც მოქმედებს ბაქოს ბაზრობის ტერიტორიაზე.

გ. მიიღებს ღონისძიებას, რათა დაუბრკოლებლად და სასწრაფოდ იქნეს გადატანილი ბაქოს ბაზრობაზე გამოგზავნილი საქონელი და ასევე ბაზრობიდან გაგზავნილი.

დ. აწარმოებს ბაზრობაზე მოსულ სავაჭრო საწარმოთა და კერძო ვაჭართა რეგისტრაციას.

ე. მიიღებს ღონისძიებას ბაზრობის ტერიტორიაზე ბაქოს სასაქონლო-საფონდო ბირჟის განყოფილების გახსნისათვის.

ვ. მოაწყოს საარბიტრაჟო კომისიას ბაზრობაზე გარიგებების გამო წარმოშობილ დავათა განსახილველად.

ზ., ჰჩრუნავს ბაზრობის ვაჭრობის წარმატებისათვის საჭირო კრედიტის შექმნას.

თ. იყოლიებს სტატისტიკურ ბიუროს ბაზრობის ვაჭრობის აღნუსხვისათვის.

ი. გამოსცემს ბიულეტენებს ბაზრობაზე ვაჭრობის მიმდინარეობის მიმოხილვით.

კ. წარუდგენს ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ანგარიშს ბაზრობაზე ვაჭრობის მიმდინარეობის შესახებ.

ლ. მიიღებს ღონისძიებას საბჭოთა რესპუბლიკებისა და მეზობელ სახელმწიფოთათვის ბაზრობის გახსნისა და ვაჭრობის პირობების შესახებ ფართო ცნობების მისაწოდებლად.

მ. წარუდგენს ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს აღრიცხვას დასამტკიცებლად.

ნ. დაადგენს წესს და პირობებს ბაზრობის სავაჭრო სადგომებისა და მიწების იჯარით გაცემისას და აგრეთვე საიჯარო ფასის რაოდენობას.

ო. გამოსცემს სავალდებულო დადგინილებათ ბაზრობის რიგიანად მოწყობის შესახებ.

პ. გამოსცემს ინსტრუქციებს სააღებმიცემო საკითხების შესახებ.

9. ბაზრობის კომიტეტს უფლება ეძლევა, ბაზრობის მოსაწყობად გაწეული ყველა ხარჯის დასაფარავად, გადაახდევინოს ვისაც ჯერ არს ბაზრობაზე მოსული ყველა ტვირთისათვის 1% ამ ტვირთის საბაზრო ფასისა, თანახმად ცალკე ინსტრუქციისა, რომელსაც შეიმუშავებს ბაზრობის კომიტეტი.

10. ბაზრობის კომიტეტს ნება აქვს იყოლიოს წარმომადგენლობა იქ, სადაც საჭირო იქნება.

11. ბაზრობისა და ბაზრობის მეურნეობის შესანახად სახსარი გაღებულ უნდა იქნეს სახელმწიფოს მიერ ასიგნობების მეშვეობით, თანახმად აღრიცხვისა, რომელსაც განიხილავს ბაქოს საბჭო და დამტკიცებს ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი.

12. იჯარით გაცემული ბაზრობის მიწებისა და სადგომების შემოსავალი, საპროცენტო ანარიცხი და სხვა შესაძლებელი შემოსავალი, ბაქოს საბჭოს მეშ-

ვეობით. გადაეცემა სახელმწიფოს ბაქოს ბაზრობით გამოწვეული ხარჯების დასაფარავად.

13. ყველა ხარჯის დაფარვის შემდეგ, რაც თანხები დარჩება, განაწილებულ უნდა იქნეს ბაქოს საბჭოს ბაზრობის ფონდისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ასეთივე ფონდის შორის.

14. ბაზრობის კომიტეტის დაშლის შემდეგ, კომიტეტის ყველა საქმე, ბაქოს საბჭოს მეშვეობით, გადაეცემა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს; საქმეებთან ერთად გადაეცემა აგრეთვე ბაზრობის სრული სალიკვიდაციო ანგარიში.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ, საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლლის.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარ-
თა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. აპრილის 13-ს თარიღის 82 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

68. ბაქოს ბაზრობის ვაჭრობის სახელმწიფო სარეწავი გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

1923 წ. აპრილის 5.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი **ადგენს:**

ვაჭრობა ბაქოს ბაზრობაზე, რომელიც ამა წლის მაისის 20-ს უნდა გაიხსნას, განთავისუფლებულ იქნეს სახელმწიფო სარეწავი გადასახადისაგან, ხოლო ეს შეღავათი არ გავრცელდება ბაზრობის ხელისშემწყო საწარმოებზე, როგორიც არის: რესტორანი, კაფე, გასართობი რამ ადგილი, კინემატოგრაფი, საპარიკმახერო და სხვ. რამ ამისთ.

ამიერკავკასიის ფინანსთა
სახალხო კომისარი. **ნ. ტუმანოვი.**

გამოქვეყნებულია, ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. აპრილის 13-ს თარიღის 82 №-ში.

დადგენილება № 36 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. აპრილის 17.

69. წითელარმიელთათვის წერილების შეღავათით მიცემის შესახებ.

რათა ამიერკავკასიაში სამსახურში მყოფ წითელარმიელთ გაუადვილდეთ მათ სახელზე გამოგზავნილი, საფოსტო გამოსაღების გადუხდელად, უბრალო წერილების მიღება, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. 1-ლი, მე-2 და მე-3 კატეგორიის წითელარმიელისა და სამხედრო მეზღვაურის სახელზე მიღებული, მისი სამსახურის ადგილის მისამართით გამოგზავნილი, უბრალო წერილი და საფოსტო ბარათი, რომლისათვისაც საფოსტო გამოსაღები ნაწილობრივ ან სრულიად გადახდილ არ იქნება,—ამიერკავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებამ უნდა გასცეს საფოსტო გამოსაღების გადაუხდევინებლად.

2. იმ წერილების აღნუსხვისა და წითელარმიელთათვის ჩაბარების წესს, რომლისათვისაც გადახდილ უნდა ყოფილიყო დამატებითი საფოსტო გამოსაღები,—დაადგენს ამიერკავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
საბჭოს კომისართა საქმეთა მმართველი **გ. პოლლოს.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **მ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. აპრილის 14-ს თარიღის 83 №-ში.

დადგენილება № 37 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

70. საბაჟო დაწესებულების მიერ დასაწყობი და საბაჟო საკანცელარიო გამოსაღების გადახდევინებისა და საბაჟოში საქონლის შენახვის ვადის შესახებ.

1923 წ. აპრილის 13.

1. საბაჟო საწყობში შესანახად მიღება შეიძლება ისეთი ტვირთისა, რომელიც საზღვარგარეთიდან მოდის ან სალიკვიდო,—ე. ი. საექსპოსტოდ სრულიად განმზადებული,—ხასიათის საექსპორტო ტვირთისა.

2. ტვირთის შენახვის ვადა ტფილისის საბაჟოში დაწესდება ექვსი თვიანი, 1-ლი კატეგორიის საბაჟოში—სამთვიანი, მე-2 კატეგორიის საბაჟოში—ორთვიანი და მე-3 კატეგორიის საბაჟოში—ორკვირიანი.

შენიშვნა. 1. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საბაჟო სამმართველოს ნება ეძლევა,—მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით,—გაადიდოს ამა მუხლით დადგენილი ვადები ისეთი სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანოს ცალკე ტვირთისათვის, რომელიც ამის შესახებ დასაბუთებელ შუამდგომლობას აღძრავს.

შენიშვნა 2. ამა მუხლის 1-ლი შენიშვნით დადგენილი შეღავათი არ გავრცელდება იმ ტვირთზე, რომლისათვისაც საფრახტო სასყიდელი გადახდილ არ იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 3. საბაჟო სამმართველოს უფლება ეძლევა შეამციროს საქონლის შესანახი ვადა ვაჭრობის მოთხოვნილებისა და საბაჟოს სასაწყობო სადგომების მდგომარეობის მიხედვით.

3. შენახვის ვადა ჩაითვლება საბაჟოს მიერ ტვირთის თავის გამგებლობად მიღების მეორე დღიდან.

4. მეორე მუხლით და მისი 1-ლი შენიშვნით გათვალისწინებული ვადების გასვლის შემდეგ ტვირთის მიმღების მიერ გაუტანელი საქონელი,—გარდა გასასყიდად აკრძალულისა,—დაინიშნება გასასყიდად, რაზედაც გამოცხადდება ადგილობრივ ოფიციალურ ორგანოში; თანაც აღნიშნულ უნდა იქნეს ტვირთის ადრესატი, ნიშნები, ადგილი, თვისება და რაოდენობა; ამის მერე, ორი თვის გასვლის შემდეგ დღიდან შენახვის ვადის დამთავრებისა,—ეს საქონელი გაიყიდება საბაჟოს მიერ საჯარო ვაჭრობით.

5. ამა დადგენილების მე-4 მუხ. წესისამებრ საქონლის გაყიდვით შემოსული ფული,—იმის შემდეგ, როდესაც ხაზინის სასარგებლოდ გამორიცხული იქნება ბაჟი, სასაწყობო და სხვ. გამოსაღები, აგრეთვე საფრახტო სასყიდელი, გაყიდვის ხარჯი და სხვ.,—მიეცემა ტვირთის პატრონს.

შენიშვნა. უკეთუ ტვირთის პატრონი,—სამი თვის განმავლობაში დღიდან საქონლის გაყიდვისა,—არ გამოცხადდება მისი კუთვნილი თანხის მისაღებად,—იგი ჰკარგავს უფლებას ამ ფულის მიღებისას და აღნიშნული თანხა ხაზინის შემოსავალში გადაირიცხება.

6. ცხოველი და აგრეთვე ის საგნები, რომელიც შეიძლება ადვილად გაფუჭდეს ან აფეთქდეს,—გატანილ უნდა იქნეს ტვირთის პატრონის მიერ საბაჟოდან განსაკუთრებული ინსტრუქციით დადგენილ ვადაზე. უკეთუ ეს მოთხოვნილება აღსრულებული არ იქნება, აღნიშნული ტვირთი გაიყიდება საბაჟოს მიერ საჯარო ვაჭრობით მახლობელ ან სპეციალურად დანიშნულ აუქციონზე; ამასთანავე გაყიდვით შემოსულ ფულზე გავრცელდება ამა დადგენილების მე-5 მუხ.

7. საქონლის დაფასების წესრიგი, აგრეთვე წესრიგი და პირობები მისი გაყიდვისა განსაზღვრულ უნდა იქნეს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიისათვის დადგენილი წესებით.

8. საბაჟო სადგომებში ტვირთის შენახვისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს სასაწყობო გამოსაღები.

9. სასაწყობო გამოსაღები დაწესებულ უნდა იქნეს ოქროს ანგარიშით და გადახდევინებაც იმ კურსით, რაც დადგენილ იქნება საბაჟო გამოსაღების გადასახდევინებლად საქონლის ფუთზე—ბრუტტო, შენახვის თვითეული დღისათვის (მუხ. 3).

10. სასაწყობო გამოსაღები საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონლისა და ბაგაჟისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს შემდეგი რაოდენობით:

1. თავახდილ ადგილას დაწყობისათვის—$^1/_{40}$ კაპ.

2. პაკჰაუზში, სარდაფში და ფარდულქვეშ დაწყობისათვის: ა., იმ საქონლისა, რომელიც მოხსენებულია შემოსატანი ტვირთის ტარიფის 7, 9, 11—15, 18—21, 24—29, 31, 38, 52, 53, 55—57, 67—68, 75—76, 88, 110, 112—127,

129—130, 133—137, 148, 149, 154—159, 162, 172, 173, 180, 182—189, 192—228 მუხ. მუხ.—პაკეტებში და სარდაფში შენახვისათვის $^1/_5$ კაპ., ხოლო ფარდულქვეშ შენახვისათვის—$^1/_{10}$ კაპ. ბ. სხვა დანარჩენ საქონლის პაკეტებში და სარდაფში დაწყობისათვის $^1/_{10}$ კაპ., ხოლო ფარდულქვეშ—$^1/_{20}$ კაპ.

11. სასაწყობო გამოსაღები საზღვარგარეგ გასატან საქონლისა და ბაგაჟისა საბაჟო სადგომებში შენახვისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს შემდეგი რაოდენობით: ა., თავახდილ ადგილას დაწყობისათვის $^1/_{80}$ კაპ.; ბ., პაკეტებში და სარდაფში დაწყობისათვის—$^1/_{20}$ კაპ. გ., ფარდულქვეშ დაწყობისათვის $^1/_{40}$ კაპ.

12. სასაწყობო გამოსაღები საბაჟო სადგომებში საფოსტო ამანათისა და ბანდეროლის შენახვისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს თვითეული დღის განმავლობაში საწყობში შენახვისათვის—2 კაპ. ოქროთი ამანათსა და ბანდეროლზე.

შენიშვნა 1. საფოსტო ამანათისა და ბანდეროლის საბაჟო სადგომში შენახვის ვადა განისაზღვრება ფოსტის წესებით.

შენიშვნა. 2. უკეთუ საფოსტო ამანათი და ბანდეროლი უკანეე საზღვარგარეგ იქნება გატანილი—სასაწყობო გამოსაღები მოიხსნება.

13. საბაჟო დაწესებულებაში საქონლის შემოტანისა და გატანის გამო საკანცელარიო სამუშაოს წარმოებისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს საბაჟო საკანცელარიო გამოსაღები შემდეგი რაოდენობით: ა., ბაეშეწერილი საქონლისათვის—20 კაპ. ოქროს ანგარიშით შეწერილი ბაჟის თვითეულ ას მანეთზე ოქროთი; ამასთანავე არასრული ასეული—სრულ ასად ჩაითვლება; ბ., ბაეშეუწერელი საქონლისათვის—20 კაპ. ოქროს ანგარიშით მისი ღირებულების თვითეულ ათას მანეთზე ოქროთი; ამასთანავე არასრული ათასეული—სრულ ათასად ჩაითვლება.

შენიშვნა: საქონლის ღირებულება განისაზღვრება თანახმად სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიისათვის დადგენილი წესებისა.

14. საბაჟო-საკანცელარიო გამოსაღებისაგან განთავისუფლდება: ა., ის საქონელი, რომელსაც მთელი ბაჟი შეწერილი აქვს არა უმეტეს 10 მანეთისა ოქროთი; ბ., ბაეშეუწერელი საქონელი არა უმეტეს 50 მან. ღირებულებისა ოქროთი.

15. სასაწყობო და საბაჟო—საკანცელარიო გამოსაღები ჩაირიცხება ხაზინის შემოსავალში ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს აღრიცხვით.

16. დადგენილება ესე ძალაში შედის ადგილობრივ მიღებისათანავე.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ბ. პოლის.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-ს 1923 წ. აპრილის 14 თარიღის 83 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. აპრილის 14.

71. სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და კოპერატიულ და შერეულ საზოგადოებათა მიერ სავალიუტო ოპერაციის წარმოების შესახებ ბირჟის მაკლერების მეშვეობით.

ამიერკავკასიაში სავალიუტო-ფულადი ტრიალის მოსაგებლად, სახალხო წესრიკომისართა საბჭო ადგენს:

ყოველი სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო, კოოპერატიული ორგანიზაცია და შერეული საზოგადოება მოვალეა ყველა თავისი სავალიუტო ოპერაცია აწარმოოს მარტოოდენ ბირჟის მაკლერების დახმარებით და ადგილობრივი ოფიციალური ბირჟისა ან სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულების მეშვეობით და არ უნდა მიმართოს კერძო შუამავალს. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სასამართლოს წინაშე.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. აპრილის 15-ს თარიღის 84 №-ში.

ნებად. ლ. და გ. მთავ. მართ. № 720 ს. ს. მ. უ. ს. პოლ. განყოფ. 1-ლი სტამბა. ტირაჟი 800